



საკოლიტიკო, სამეცნიერო და სალიბერალური ნახაბიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 41

ს ე კ ტ მ მ ბ მ რ ი 28 1897 წ.

№ 41

ზინდარსი: კავკასიის ქვა-გუნდის მწარმოებელთა წესდების შედგენა და მისი მუხლების განხილვა გ. წერეთლისა. — სხვა-და-სხვა ამბები. — „გვლის“ კორესპონდენცია. — კათოლიკოსის ახვინის I საფილოსოფიო ნაწერები ა. ხანაშვილისა. — საღამო ლექსი — კისა. — უამი (შავი ჭირი), თარგმანი სვ. მდივნისა. — წერილები ინგლისიდან საზღვარ-გარეთელისა. — ბება მოთხრობა (ელიზა ორუეშკოს) ნათარ. ელ. წერეთლისა. — მგზავრის შენიშვნება (გაგრძელება) ფ. პატრაშვილისა.

კავკასიის ქვა-გუნდის მწარმოებელთა წესდების შედგენა და მისი მუხლების განხილვა,

**ა**რსულ კვირას ქუთაისში მოხდა კავკასიის ქვა-გუნდის მწარმოებელთა წარმომადგენლების კრება მათი წესდების პროექტის განსახილველათ. სანამდის ამ პროექტის მუხლების განხილვას შევეუდგებოდეთ, საჭიროა ორიოდ სიტყვა ითქვას საზოგადოთ ახლანდელი ქვა-გუნდის წარმოებაზე და კავკასიის ქვა-გუნდის წარმოების შეფერხებაზე.

გასულ მაისს ქუთაისში მოხდა ქვა-გუნდის მწარმოებელთა წარმომადგენლების კრება, რომელზედაც ქვა-გუნდის მწარმოებელთა რჩევამ ვრცელი მოხსენება წაუკითხა კრებას, თუ რა მდგომარეობაშია ახლანდელი მსოფლიო ქვა-გუნდის წარმოება და გამოიკვლია, თუ რა მიზეზია, რომ ახლა ჭიათურის ქვა-გუნდის წარმოება ასე დაეცაო. ამ ვრცელ მოხსენების მასალათ შეიქნა სამინისტროს წერილი შემდეგი სათაურით: „მარგანეცის, ანუ ქვა-გუნდის, წარმოების ვითარება მსოფლიო ბაზარზე“.

ჩვენ იმდენათ შევეხებთ სამინისტროს წერილს,

და ქვა-გუნდის რჩევის მოხსენებას, რამდენათაც ეს საჭირო იქნება, რომ დაგებატოთ ერთი მხრით ქვა-გუნდის წარმოების ვითარება მსოფლიო ბაზარზე და მეორე მხრით, თუ რა უშლის ხელს ჩვენი ჭიათურის ქვა-გუნდის წარმოებას, ან რა ღონისძიებით შეიძლება შესაფერი წარმატება მიეცეს ჩვენი ქვა-გუნდის წარმოებას.

აქამდის ბევრს ჯეროდა ჩვენში, რომ ჩვენს კავკასიის, ესე იგი ჭიათურის, ქვა-გუნდას ბადალი არ ჰყავს მსოფლიო ბაზარზეო. ამ დაჯერების და რწმენის ბრალია, რომ ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგეობამ ჭიათურის რკინის გზის ტოტზე ასეთი დიდი ფასები დაადგინა მადნის გადასატანათ შორაპნამდის. თუ წარმოვიდგენთ, რომ დიდ რკინის გზაზე მარგანეცის გადასატანი ფასი ორმოცდა ხუთ ვერსტზე მხოლოდ ერთი კაპეკია ფუთზე დანიშნული, მაშასადამე ოცდა თერამეტი ვერსის მანძილზე ჭიათურის რკინის გზისაზე ორი შაური ფუთზე მეტათ ძვირი ფასი უნდა იყოს. ასეთი დიდი ფასი დედა მარჯაზე არსად არის. ყოველს ევროპიელს უკვირს ამისთანა სიძვირე მადნის გადასატანათ, იგი მიაჩნია მას ცარცვა-გლეჯათ და კუუათამყოფელ კაცისგან წარმოუდგენელათ. მაგრამ ყოველივე ეს მოხდა კავკასი-



ის რკინის გზის გამგეობის უცოდინარობისა და განუ-  
ვითარებლობის გამო. ვრცლათ ავიერ კავკასიის რკი-  
ნის გზის გამგეობის ბრალია დღევანდელი ჭიათუ-  
რის ქვა გუნდის კრიზისი; მაგრამ რას იზამ? ტყუილია  
არ არის ნათქვამი: ერთი უგნური მოიქნევს ძვირფას  
თვალს და უფსკრულ ზღვაში გადაადგებსო; მერე კი  
ათასი ბრძენი რომ ეცადოს, ვეღარ გამოიტანსო.  
ჩვენი ჭიათურის ქვა-გუნდის საქმესაც ეს ამბავი დაე-  
მართა. რაკი ერთხელვე შემთხვევით დაწესდა ფუთზე  
ორი შაური ქვა-გუნდის გადასატან ფასათ, მას აქეთ  
ალარა გაეწყურა, ვერა მოახერხესრა, აი ფასის შემ-  
ცირებისთვის, თუმცა დღეს თვით ჭიათურის რკინის  
გზაც შეჩერებულია და იმით ქვა-გუნდა აღარ გადა-  
აქეთ, თუმცა აჩეხა ურმებმა ისევ გამართეს მისი ზიდ-  
ვა ზესტაფონამდის.

მას აქეთ, რაც ფოლადის საკეთებლათ ტენიკა-  
ში ქვა-გუნდა შეიქნა საჭირო, ყოველი ქვეყნის კუ-  
თხეში იწყეს ძიება ამ მადნისა. ძველი მადნები ევ-  
როპისა: ინგლისში, ავსტრიაში, გერმანიაში, იტალია-  
ში, ისპანიაში და საფრანგეთში უფრო დიდ წარმო-  
ებაში შევიდნენ. დაიძრა თუ არა ჭიათურიდან მარგა-  
ნეცის გაზიდვა ევროპისკენ, მაშინვე გამოჩნდნენ ქვა-  
გუნდის მადნები სხვა ქვეყნებშიაც: რუსთაში, სა-  
ბერძნეთში, ამერიკაში, ჩილის სახელმწიფოში და სხე.  
ბოლოს წელიწადი ისე არ გადიოდა, რომ ახალ-ახალი  
ქვა-გუნდის მადნები არ გამოჩენილიყო სხვა და-სხვა  
სახელმწიფოებში, როგორც მაგალითათ ბრაზილიაში,  
ყუბის კუნძულზე, იაპონიაში და ამ უკანასკნელათ  
ინდოეთშიც. ამ მიზეზების გამო პირველათ რომ  
ქვა-გუნდაზე დიდი ფასები არსებობდა, შემდეგ ეს  
ფასები თან-და თან დაეცა, რადგან მსოფლიო ბაზარ-  
ზე სხვა-და-სხვა ქვეყნებიდან დაიწყეს მოზიდვა და  
ფასებში მუშტრობა, ასე რომ 1891 წლიდან დაწყე-  
ბული 1895 წლამდე მარგანეცის ფასმა საზოგადოთ  
25,5% დაიწია.

თუმცა ამავე წლების განმავლობაში ჭიათური-  
დან ყოველ წლობით თან-და-თან მეტი მიდიოდა სა-  
ზღვარ გარეთ ქვა-გუნდა, მაგრამ ეს იმის მიზეზი კი  
არ იყო, ვითოც კავკასიის ქვა-გუნდა სხვა ქვეყნე-  
ბისას ჯობნებოდეს, არამედ იმისი, რომ საზოგადოთ  
ქვა-გუნდის მოთხოვნილება მსოფლიო ბაზარზე უფ-  
რო-და-უფრო მატულობდა.

სამინისტროს წერილის მოწმობით გამოდის, რომ  
ჩვენი ქვა-გუნდის შეტანა ინგლისში თუმცა ყოველ  
წლობით მატულობს, მაგრამ ამასთანავე ესეც შენი-  
შნულია, რომ სხვა ქვეყნებიდან კავკასისაზე კიდევ  
უკრო მეტი ქვა-გუნდა შეაქეთ ინგლისში, მაგალი-  
თათ 1891 წელს კავკასიიდან გსულა ინგლისში  
48,1%; დანარჩენი კი, ესე იგი 51,9% სხვა ქვეყ-

ნებიდან მოუტანიათ. ასეთმა მეტოქობამ სხვა ქვეყ-  
ნებიდან ისე იმოქმედა კავკასიის ქვა-გუნდის ფასებში  
ზე, რომ ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში  
ჩვენმა ქვა-გუნდამ ფუთზე თოთხმეტი კაპეიკი ფასი  
დაიკლო.

ყველაზე უფრო საშიშო მეტოქე ჩვენი ქვა-გუნ-  
დისა აღმოჩნდა ინდოეთის მარგანეცია, ანუ ქვა-გუნ-  
და, რომლის მუშაობაც, დიდი ხანი არ არის, რაც  
დაიწყეს. სულ ორი წელი არ იქნება, რაც ინდოეთ-  
ში მადრასის მაზრაში დაიწყეს ქვა-გუნდის მადნების  
მუშაობა. ამ მადნებს ბევრით უპირატესობა აქვს ჩვენ  
ჭიათურის მადნებზე. ერთი, რომ ინდოეთის მადნები  
მდებარებენ ზღვის პირზე და რკინის გზა თან ახლავთ,  
ამას გარდა თვით მადნებს რკინა ურევია და ბევრათ  
ნაკლები კირის ქვა აქვს, ვიდრე ჭიათურის ქვა გუნ-  
დას. ამისთვის აი მარგანეცს უფრო იამოვნებით ხმა-  
რობენ ქარხნებში, ვიდრე კავკასიის ქვა-გუნდას. ამას  
გარდა ინდოეთიდან ლივერპულში 9<sup>1</sup>/<sub>2</sub> პენსათ ჯდე-  
ბა ერთი პროცენტი ტონისა, მაშინ როდესაც კა-  
ვკასიის მარგანეცი 10<sup>1</sup>/<sub>2</sub> პენსათაც რომ დაჯდეს,  
მაინც ზარალი აქვს მწარმოებელს. ცხადია, რომ თუ  
ასეთი მდგომარეობა არ შეიცვალა, ჭიათურის ქვა-  
გუნდის წარმოება სულ უნდა შეჩერდეს; ის ინდო-  
ეთის ქვა-გუნდას მეტოქობას ვერ გაუწევს.

მაშასადამე თუ გვინდა, რომ ჩვენი ქვა-გუნდას  
მოთხოვნილება ექნეს მსოფლიო ბაზარზე და ამას-  
თანავე უპირატესობაც დაიჩინოს, მაუცილებლათ  
საჭიროა, რომ ჭიათურის რკინის გზის ტარიფი შეი-  
ცვალოს, ტარიფი შემცირდეს იმდენათ, რომ ჩვენს  
ქვა-გუნდას სიაფით მეტოქე არ ჰყავდეს მსოფლიო  
ბაზარზე.

ქვა-გუნდის მწარმოებელთა რჩევის მოხსენება  
ითხრეს, რომ ჭიათურის გზაზე ორი შაურიდან სამ-  
კაპეიკამდის დავიდეს ტარიფი, ანუ გადასატანი ფასი.  
ჩვენ ეს ფასიც ძალიან ძვირათ მ-გვაჩნია და არ  
ვეთანხმებით რჩევის მოხსენებას; მაგრამ ამაზე შემ-  
დეგ ვილაპარაკებთ.

გ. წერეთელი.

სხვა-და-სხვა ამბავი.



ქვეს ოკტომბერს დანიშნული სხდომა ტფილი-  
ის ქალაქის თავის ასარჩევათ ღირ ყურად-  
ღებას იქცეეს საზოგადოებისას. როგორც უკ-  
ვე გამოცხადებული იყო, ბრძოლა უნდა მიხედეს ორ  
საპატიო კანდიდატებ-შორის. საბოლოოთ დასახე-



ლებული არიან კ. მ. ალიხანოვი და თ. გ. მ. თუმანიშვილი. ორივე კარგათ ცნობილი არის ხანგრძლივი მოღვაწეობით. პირველი არის წარმომადგენელი ესრეთ წოდებული „დვორცოვი ნომრებისა“, ანუ მდიდარ მოქალაქეთა წრისა. კ. მ. ალიხანოვი, დიდი ხანია, მოღვაწეობს სხვათა-შორის საქალაქო გამკობაში ხმოსნათ; ამას გარდა მას თავისი დამოკიდებულებით და კაპიტალით დიდი გავლენა აქვს ტფალისის საკომერციო, საურთიერთო და საქალაქო საკრედიტო დაწესებულებებზე. რადგან ჩვენ დროში კაპიტალი ბატონობს, მაშასადამე მის წარმომადგენელსაც, ბ. კ. მ. ალიხანოვს, დიდი ძალა უნდა ჰქონდეს ქალაქის ხმოსანთა შორის. მით უმეტეს სასაზოგადორო, რომ ასეთ მძლავრ მოპირდაპირეს წინ დაუყენა პროგრესიულმა ნაწილმა ჩვენის საზოგადოებისამ ადგილობრივი პრესის (მწერლობის) წარმომადგენელი, რომლის წარსული მოღვაწეობა ქართულ-რუსულ ლიტერატურაში ცნობილია სიმპატიური მიმართულებით. თ. გ. თუმანიშვილს საგნათ მუდამ ეს ქონდა, რომ მწერლობაში გაეტარებინა აზრი კავკასიის ერთა შორის თანხმობისა, ერთობისა და თანასწორობისა უფლებებში. ამ მხრით თ. გ. თუმანიშვილს არაპოტუ ჩვენ შორის აქვს საპატიო სახელი მოხვეჭილი, არამედ ამ უკანასკნელ დროს მან დიდი სიმპატია მოიპოვა ოს-ყაზარდოს ახალ-გაზღვრებში, რომელიც გაფაციცებით ადევნებს თვალ ყურს თფალისის გამაცემებს და რომელიც უარ ჰყოფს მტრობას და მეტოქობას კავკასიის ერთა შორის.

რაც უნდა იყოს თ. გ. თუმანიშვილის გამოყენა თფალისის ქალაქს თავს კანდიდატათ ნიშნავს ადგილობრივი პრესის გამარჯვებას და მწერლობის დღესასწაულად.

ამ აზრის გამოსათქმელათ თ. გ. თუმანიშვილმა ღია წერილი დასტამბა რუსულ გაზეთ „ახალ მიმოხილვაში“, საიდანაც ჩვენ ვადმოვიღებთ შემდეგ ადგილს: „მე ვგონებო — განაგრძობს თ. გ. თუმანიშვილი — ჩემი დასახელებით ცნობილს ნაწილს საზოგადოებისას უნდოდა პატივისცემის გამოცხადება საზოგადო ინტერესის მსახურებ-სათვის, ურთაერთ შორის შერჩევების საქმისათვის და ადგილობრივის საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენელთა ურთიერთობისათვის, თვითკამკობისა და ბეჭდვითი სატყვის წარმატებისათვის...“

„ასეთი ყურადღება, როგორც მე წილათ მხედო, ბევრს სხვებსაც განამხნეებს და ფრთებს შესხამს მათ უნაგარო შრომას საზოგადო საკეთილდღეოთა.“

\*\*\*

ამ დღეებში ქალაქის საბჭოში ერთმა ხმოსანმა

შეიტანა მოხსენება შესახებ უმაღლესი სასწავლებლის პალიტენიკუმის დაარსებაზე. ეს მოხსენება გამოიქვეყნა მთავრობის უწყებაში დასტამბულმა ვაშაყმა, ვითომც მთავრობას მომავალ წელს განზრახვა ჰქონდეს, რამდენიმე უმაღლესი სატენიკო სასწავლებელი გახსნას სხვა-და-სხვა გუბერნიაში. ამას გარდა ხმოსანმა წინადადება მსცა ქალაქის გამგეობას, რომ მან ითხოვოს ნებართვა, მთავრობისაგან ხელის მოწერა გაიმართოს მთელ კავკასიაში საუნივერსიტეტო თავნის მოსაგრეებლათ. ბევრმა იქნება არც კი იცის, რომ თფილისის ქალაქს აქვს სამოცი ათას მანეთამდის საუნივერსიტეტო თავნი მოგროვებული.

ყველაზე უფრო საჭირო ჩვენ ქვეყანაში მართლაც უნივერსიტეტია მრავალნი არიან ისეთი მდიდრები, რომელნიც სკედილის ჟამა უანდერძებენ ხოლმე სხვა-და-სხვა დაწესებულებას რამდენსამე ფულს თავის ქონებიდან; კავკასიის უნივერსიტეტი კი არავის ახსოვს, მაშინ როდესაც ეს უმაღლესი სასწავლებელი ყველაზე უფრო საჭიროა კავკასიის მკვიდრთა გასანათლებლათ.

\*\*\*

კვირას, 21 ენკენისთვის, გაიხსნა საკვირაო საქალგებო სკოლა მღვდლის ნ. მაჭარაშვილის თაოსნობით მამა-დავითის სამრევლო სკოლის დარბაზში. ერთი წელიწადია, რაც თფილისში დაიწყეს საკვირაო სამრევლო სკოლების გახსნა, ოთხი სკოლა უკვე გახსნილია ვაჭებისთვის, ახლა ეს პირველი სამრევლო სკოლაა, სადაც დიდრონი ქალები ისწავლიან კვირაუქმე დღეს, როგორც წერა-კითხვას, ისეც საგნებს და ჭრა-კერვას. სკოლის კურთხევას დაესწრო სამრევლო სასწავლებლების საეპარქიო მზრუნველი ნ. გ. ტატიშვილი, სამოსწავლო საბჭოს წევრი ი. ი. ფერაძე, მღ. მარ. ტყემალაძე და სხვები. მართალია ამ დღეს მსურველნი ბევრნი არ ჩაწერილან, მაგრამ ჩვენნი აზრით თვითონ საქმის ნაყოფმა უნდა მიიზიდოს ისინი. საკვირაო სკოლაში მოსწავლეების დაკმაყოფილება აგრე ადვილი არ არის; სულ ცოტა დროს, რაც შეიძლება ბევრი უნდა გადაცენ მათ და მეტადრე დიდების დაკმაყოფილება ძნელია (ზოგნი თურმე 30 და 40 წლისა არიანო) თვით კარგათ განვითარებული მასწავლებლებისათვისაც; ამიტომ ვუსურვებთ იმ მასწავლებლებს, რომელთაც იკისრეს ამ სკოლაში უანგაროთ სწავლება, ამ მიმე საქმეს ისე გაუძღვენ, რომ მოწაფეები ერთი ათათ გაუმრავლდეს.

\*\*\*

კავკასიის სამოსწავლო ოლქის გამგეობაში გა-




დაუწყებდათ დაწესონ სკოლის გადასახადი სულზე და შემოიღონ სავალდებულო სწავლება.

\* \*

სოფ. თლუღიდან (რაჭის მაზრაში) იწერებიან, რომ იქ დაარსებული იყო სამრევლო სკოლა, მაგრამ ეს ერთი თვეა აქ აღარც სწავლაა და არც მასწავლებელი ჩანს ვინმე.

\* \*

ჩვენ მივიღეთ „ქართლის ცხოვრება“, პირველი რკუეული გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ. სულ მთელი მატანე სამ რკუეულთ იქნება გამოცემული და კიდევ კეკელიძის ხაზი. მადლობის ღიშისა ბ. ზ. ჭიჭინაძე, რომ ჩვენი უძველესი ისტორიული მატანე, რომლის შოგნა ფასათაც აქ შეიძლება, ასე იათუთ დაგვიყვან და ყოველ ქართველს შეეძლება პირველი წყარო ჩვენის ისტორიისადვილათ გაიგნოს და შეისწავლოს; მხოლოდ სასურველია, რომ კორექტირებული შეცდომები აქ იყოს.



### „კვალის“ კორესპონდენციები.

**ქ.** ბათუმი. ხშირათ მეყურება, რომ ჩვენში განათლებამ მოაღწიაო. მე უნდა მოგახსენოთ, განათლების გავრცელებაზე თავზარი მეცემა, სასოება მეკარგება და თითქო მიწასთან ვსწორდები.

ბათუმში ნაბიჯს ვერ გადადგამთ ისე, რომ არ შეხედეთ ქართველი ქალების ჯგუფს, მეტადრე ახალგაზდებს. რომ დაეკითხოთ იმათ ცხოვრებაზე, ასე მოგიგებენ პასუხს: ჩვენ ვმსახურობთ ძიძათ, მრეცხელათ და ხელზე მოსამსახურეთო; მაგრამ დააკვირდებით თუ არა იმათ ყოფაქცევას, სულ სხვა გამოდის. მოგახსენებთ ბათუმში სხვა-და-სხვა რჯულის ხალხია. ხსენებული პირები არეულან იმათში და, ვინ იცის, რას არ ჩადიან: ასეთი გამათახსირებელი ცხოვრებით შეპყრობილან წინათ უმანკოანი მას შემდეგ, რაც ბათუმში ჩამოუყვანიათ. უნდა იკითხოთ, საიდან წარმოადგა ეს საშინლათ დამამცირებელი და სამწუხარო მოვლენა?

აქ დიდი ხანია ცხოვრებენ სეინდისზე ხელაღებულინი, ღვთის პირისგან დაწყველილნი, ბებრუხანა ქალები. ესენი გაემგზაურებიან ხოლმე სოფლებში და ატყუებენ მეტადრე ბეჩავ მშობლებს შემდეგი სიტყვებით: „შენი ქალიშვილი მომეცი და სამადლოთ წავიყვან, დიდ-კაცთან დეაყენებო. ამ დაკონქილ კაბაში რომ გყავს საწყალი, ტანზე ჩაიცვამს და ფეხ-

ზეო. ჯამაგირს ავალბები, თავის თავსაც წაადგება და თქვენცაო. რასაკვირველია, გონება დახურული მშობლები ვერ მიხედებიან წყეული მატყუარის განცხადებას და მადლობას უცხადებენ, შემდეგ უპასუხებენ: „აი, ვაბარებ ჩემ ქალიშვილს, როგორც ჩემ სულს, შენ იცი და შენმა დედა-შვილობამო“. წყეული ბებრუხანაც ეუბნება: — ისე მოეუფელი, როგორც ჩემ სულსო. ამ ნაირათ აცლიან ხელიდან მშობლებს უმანკო ქალიშვილებს, რომლებიც ხსენებულ წრეში ვარდებიან. ამათში გამოჩენილი, მოთავე გამეფ ერთი დიდი ხნის ბებრუხანა გახლავთ ფ—ნე, რომელსაც ქალების „კონსოლს“ უწოდებენ.

როტშილდის ქარხანის მახლობლათ ბარცხანაში ერთი დედა-კაცი შედგომია გამოჩენილი ბებრუხანის ხელობას და, როგორც ამბობენ, ნელ-ნელა მოჰყავს სოფლიდან პატარა გოგონები. ახლა მოვიგონოთ ზემოთ ნათქვამი სიტყვა, განათლებამ მოაღწიაო: კეთილი ზეპატოიასანი!. მაგრამ ჩვენში რომ ქემშარიტი განათლება სუფევდეს, იგი ამ უზნეო საქმეს ყურადღებას მიაქცევედა ზე ძირიან-ფესვიანათ მოსპობდა; მაგრამ, სამწუხაროთ, განათლების მაგიერათ გარყენილება უფრო შემოდის.


წ—ქ.

\* \*

სოფ. გოგნი (შორაპნის მაზრა). არ ვგონებ იმერთის მხარეში მეორე ისეთი ყოველ-მხრივ დაქვეითებული სოფელი მოიპოვებოდეს, როგორიც არის სოფ. გოგნი და ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ იგი თავის მდებარეობათ, ჰავით, ბუნებით და მცხოვრებლების ბუნებრივი თვისებებით სულ სხვა რამეს უნდა წარმოგიდგინდეს დღევანდელი ბნელი სურათის მაგიერათ. განათლების მაგიერათ აქ გავრცელებულია ქურდობა; დღე არ გავა ისე, რომ სოფელში არ დაიკარგოს რამე: ზნეობა ხომ საკითხავიც აღარ არის. სოფელი გაყოფილია ორ მხარეთ, რომელთაც ხშირათ აქვსთ ხოლმე ერთმანეთში განხეთქილება: მაგალითათ, ერთ წარსულ ნათლილებას, ორივე მხარეს უნდადა თავის ფარგალში ეკურთხებიანებია წყალი და ამას გამო კინალამ ერთმანეთი ამოჰხოცეს.

მიზეზი სოფ. გოგნის ასეთი სამწუხარო მდგომარეობისა არის გაუნათლებლობა. დღეს თითქმის ყველა სოფლები ცდილობენ შკოლები გაიკეთონ ზე თაფიანთ შვილებს ცოტა რამ შესძინონ გონებრივის მხარე; სოფ. გოგნი კი, თუ უცხო ვინმემ არ ითავა შკოლ ს გახსნის ჩაგონება, ჯერ კიდევ დიდ ხანს არა ეშველება-რა. თვით სოფელში უბრალო წერა-





კითხვის მკოდნეც ძნელი მოსაპოვებელია, გარდა ადგილობრივი კრებულისა.

ახლა ვიკითხავ: ვისი მავალეობაა გოგნელების თვალის ახელა? მიუცილებლათ ადგილობრივი მოძღვრისა. მღვდლებს ხშირათ ეჩიჩინებიან ჩვენი ქურნალგაზეთები, მაგრამ ისინი ჩვენდა სამწუხაროთ ყურსაც არ აპარტყუნებენ. ამ მოკლე დროში ადგილობრივ მედავითნეს გზაში დახედა ნაცვლის თანაშემწე და კვიტანციის თხოენა დაუწყო რომელიც სრულებით არ ერგებოდა მას მედავითნესაგან. უკანასკნელმა, რა საკვირველია, უარი უთხრა, მაგრამ არ გაუვიდა; ნაცვლის თანაშემწე სიკვდილით ემუქროდა, ჯოხს უსუსურებდა და ფეხი არ გადაადგმევია წინ, სანამ კვიტანცია არ გამოართვა. მედავითნე ისეთ მდგომარეობაში ჩააგდო გამხეცებულმა თანაშემწემ, რომ იგი იძულებული იყო დაეკმაყოფილებინა ეს უკანასკნელი და მით თავიდან აეცილებინა ავაზაკისაგან სიკვდილი. მ. ილარიონი ამ დროს იქ ბძანდებოდა; მან კარგათ იცოდა, რომ თანაშემწეს მოქმედება ავაზაკობა იყო და მას კვიტანცია არ ერგებოდა, მაგრამ ერთი სიტყვაც არ უთხრა გამხეცებულ თანაშემწეს, თითქოს მისი მოვალეობა არ ყოფილიყოს ეს. მედავითნეს რომ კეთილ-გონიერება არ ეხმარა, სისხლის ღერა უნდა გამართულიყო და, ვინ იცის, რით გათავდებოდა საქმე. აი, როგორი სიბნელე სუფევს სოფ. გოგნში და როგორ ასრულებს თავის პირდაპირ მოვალეობას მ. ილ. მ—ძე. აგერ ათი წელიწადი იქნება, რაც იგი სოფ. გოგნში მსახურობს ღ ერთი სიტყვაც არ დაცდენია შკოლის შესახებ. სწორეთ საჭიროა ვინმემ ითავეოს გოგნელების ჩაგონება, აღუძრას მათ სურვილი სწავლისა, გადაანათოს სინათლის შუქი იმ მაღალ მთებს, რომელთ შუა ჩაკუნჩხულა დღეს სოფ. გოგნი, თითქო ვანგებ მისთვის, რომ სინათლე არ მიეკაროს.

ერთათ ერთი იმედი ამ შემთხვევაში ადგილობრივი ბლადღოჩინი-ლა დაგვრჩენია. მე დარწმუნებული ვარ, რომ მამა იული აბ—ძე ადვილათ შეძლებს გოგნელების კეთილ გზაზე დაყენებას, თუ ერთი დღის მოცდენას მათთვის არ დაიშურებს.

მის. ფ—ძე.



სოფ. სოჭი (რაჭის მაზრა). 24 აგვისტოს კვირა დილას რვა საათი იქნებოდა, რომ წკრიალა ზარებმა სოფელთ ამცნო: დღეს ღვთის დღეა, შეიკრიბეთ ეკლესიაში და უფალს ევედრეთო. ზარების რაწყუნმა სოფელი ფეხზე დააყენა და ცხრა საათზე ეკლესია მთლათ გაესა მლოცველთა გუნდით.


მღვდელი და მედავითნეც შეუდგენ შეიკრიბებულს. მღვდელი საკურთხეველზე მდგარ ბარძიმის წინ ხელ-აპკობილი უფალს ევედრებოდა და საიდუმლოს მისაღებათ ემზადებოდა, როდესაც ტრაპეზიდან გამოიძახა: „სუთ! ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა“ „თქვენთვის და მრავალთათვის დათხეული მისატყვევლათ ცოდვათას თქმა აღარ აცალა, ეკლესიაში უცბათ შემოიჭრა გლეხი გრიგოლ ხმალიაძე ღ ხელში ჯოხით ქუდმოუხდელი შეიჭრა ტრაპეზში. ხმალიაძემ შესვლისთანავე შეწყვიტა მღვდელს: „შე ურჯულო, შენ რა ღირსი ხარ ტრაპეზში წირვისა“. ამის თქმისთანავე იშიშვლა ხანჯალი და მამა თადეოზს ბეჭზე დაჭრა, მღვდელი განზე გაუსხლტა და საკურთხეველს ამოეფარა, გამხეცებულმა გლეხმა ხელ ახლა მოუქნია ხანჯალი და მკლავზე დაჭრა მამა თადეოზი. ამ დროს მედავითნე გიორგი ელბაქიძე შეიჭრა ტრაპეზში და ხელი უტაცა გლეხს ხანჯალზე. მღვდელმა ახლა კი იღროვა და გავარდა გარეთ. მედავითნე ბევრს ეწვალა, მაგრამ ხანჯალზე ხელი ვერ გაშვებინა გაბრაზებულ გლეხს. ბოლოს, რითაც იქნა, დაიბერტყა გლეხმა ხელი და გააშვებინა მედავითნეს, რომელსაც ხელს გაშვებისთანავე გაუქნია ხანჯალი წვერით და კინალამ წუთისოფელს გამოასალმა საწყალი მედავითნე. გლეხმა მედავითნეს თავი დაანება და ისევე მღვდელს გამოუდგა, რომელსაც, ის ის იყო, წამოეწია და ხანჯლის წვერს უპირებდა მუცელში ტაკებას. აქაც მედავითნემ დიდი სიმხნე გამოიჩინა, გადაეღობა გლეხს წინ და მღვდელი ეკლესიაში შეაგდო, შოგნიდან კი კარები გადაუკეტა. ამის მაყურებელი ხალხი ზოგი საით გარბოდა და ზოგი საით, ვინ იცის? გლეხს ტრაპეზში სახარება რამდენიმე ადგილს დაეჭრა ხანჯლით; ბევრი იშფოთა და რომ ვეღარას ვახდა, გაუდგა სახლისკენ გზას. მღ. და მედავითნემ კი კარ-ჩაკეტილ ეკლესიაში შეასრულეს წირვა. ამის მეორე დღეს ე. ი. 25 აგვისტოს ჩამობძანდა დ. ონიდან ბ. ბოქაული, დაიბარა გლეხი და ჰკითხა მიზეზი მისი მხეცური საქციელის ჩადენისა. გლეხმა მიუგო ბ. ბოქაულს: მაგისმა ხარებმა მჭადი შემეჩამეს და მისთვის შეეუხტი ეკლესიაშიო.

არ იცი, მაგ ბოროტებისათვის საშინლათ დაგსჯიან? თუ რამე წავიხდინა მღვდელმა, მოსულიყავი და გვიჩელო, ის არა ჯობდა მაგ ბოროტებას? გლეხმა მიუგო: ბატონო, რას ბრძანებ! მე სადა მქონდა ას-ას მანეთიანი თქვენთვის, გინა სხვა მოსამართლესთვის, რომ სამართალი გამომეტანოს. ისევე მკლავდასლობას მიემართე და, რაც მომივა, არ დავედვო და, თუ გამომიშვებს, მაგ მღვდელს მაინც არ ვაცოცხლებო; არა მართო მჭადის შექმისთვის მიქნია ეს, არამედ მრავალი სხვა სიმწარეც მახსოვს მაგისგანო. ბ.



ბოქალუმა დამნაშავე შეიპყრო და გამოძება წარმოებს.

კანა ჭიჭინაი.



### კათოლიკოზის ანტონის I საფილოსოფიო ნაწერები.

#### I.

**მ**ეთვამეტე საუკუნის მწერალთა შორის ანტონ კათოლიკოზს უჭირავს საპატიო ადგილი. მისი მრავალფეროვანი სამეცნიერო ნაწერები თვალსაჩინოთ მოწმობენ ავტორის დაუღალავ შრომის და დაუკმაყოფილებელ ცნობის მოყვარეობას. საქართველოში კათოლიკეთა მისიონერებთან დაახლოებამ და რუსეთში პეტრე I დღის წყარობით ლიტერატურის მოძრაობამ გაუკვლია გზა მოღვაწეობისა ჩვენ დაუფიწყარს მეცნიერს ანტონ კათოლიკოზსაც: „მოვიცალე სხვათა ყოველთა კეთილთაჲს და ვერა მოვიცალე საქართველოს მსახურებისაჲს“ - თქვა და დააფასა თვით კათოლიკოზმა თავისი მოღვაწეობა სამშობლოს წინაშე.

ერთ ღირს შესანიშნავ მწარეს ანტონ I მოღვაწეობისას შეადგენს საფილოსოფიო მისი ნაწერები: რიტორიკა, ლოგიკა, 1) მეტაფიზიკა და ფილოსოფია ქართულ ენაზე ჩვენს დრომდის მხოლოდ ანტონ კათოლიკოზის კალამს ეკუთვნის. ვინმე პეტრიწს დავით აღმაშენებელს დროს უთარგმნია პლატონის და არისტოტელის ნაწერები, შემდეგ გადმოუღიათ პროკლის თხზულება, მაგრამ დასახელებული შრომანი ან დაკარგულან, ან შეადგენენ მხოლოდ განკერძოებულს სჯას რომელსამე საფილოსოფიო საგანზე. ანტონ კათოლიკოზმა გადმოიღო ქართულათ ისეთი ნაწერები, რომელნიც სრულს სამეტაფიზიკო და საფილოსოფიო სისტემას აცნობებს მკითხველს. ის სახელმძღვანელონი, რომელნიც ანტონმა გადმოაქართულა, ეკუთვნიან ევროპაში თავის დროს კარგათ ცნობილ ავტორებს. მე XVIII საუკუნეში ჰსუფევდა ჩვეულება, რომელიც ძველი დროებიდან მომდინარეობდა. ეს ჩვეულება ავალბდა მეცნიერს თავისი თხზულება დაეწერა ლათინურ ენაზე. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საფილოსოფიო და საღვთისმეტყველო სახელმძღვანელოებიც ხშირათ ლათინურ ენაზე იწერებოდნენ. ანტონ კათოლიკოზმა პაპს

მისიონერთა დახმარებით შეისწავლა ეს ენა, მაგრამ საყურადღებოა, რომ საფილოსოფიო ნაწერებიც მან პირდაპირ ლათინურ დედნიდან კი არა, არამედ რუსულათ გადმოღებული სახელმძღვანელოებიდან. იმ დროს, როცა ანტონ კათოლიკოზი ცხოვრობდა რუსეთში, ამ ქვეყანაში გავრცელდა ბაუმეისტერის ლოგიკა, მეტაფიზიკა, საითიკო ფილოსოფია. ანტონ კათოლიკოზმა სწორეთ ეს თხზულებანი გადმოაქართულა მძიმე ენით, რუსული კონსტრუქციის გავლენით.

რუსულათ ბაუმეისტერს ლოგიკა სამჯერ იყო გამოცემული: 1760, 1780 და 1808 წლებში ა. პავლოვის, დ. სინკოესკის და იაკობ ტოლმაჩევის შრომით. მეტაფიზიკა ბაუმეისტერისა გამოიცა სამჯერ: 1769, 1789 და 1808 წ. ივ. ისაევის ზღ. სინკოესკის შრომით და ფილოსოფია („нравоучительная“ — ანტონის — საითიკო ფილოსოფია) დაიბეჭდა 1783 ზღ 1788 წ. ზემოხსენებულ პირთა შრომით. გადათავალიეროთ ჯერ მეტაფიზიკა. ანტონის მეტაფიზიკა პირდაპირ ნათარგმნია რუსული ენიდან — და არა ლათინური დედნიდან; ეს იქიდან მოჩანს, რომ ლათინური წინასიტყვაობა 2) რუსულ თარგმანში დატოვებული ანტონის სრულებით არ მოჰყავს. ეტყობა ლათინური ენა საკმარისათ არ იცის, ანტონი იწყებს თავის შრომას იმ ადგილიდან, რომელსაც რუსულათ ეწოდება „наставленія метафизическія“ ზედ დადგინებანი მეტაფიზიკისანი предвѣдомленія о свойствахъ и сущности метафизической — წინასიტყვაობა ბუნებისათვის და თვისებისათვის მეტაფიზიკათა. აი, საბუთიც რომ რუსულიდან არ-ს ნათარგმნი:

დალათუ გულის-მსიტყუ-  
ლობენ ედ ყრმათადმი სხო-  
ლათა შა აზნაურთა ჰსწა-  
ვლათა მესწავლეთა, არ  
სათანადო არს გარდამო-  
ცემად მეტაფიზიკაჲ, მით  
რა თავსა შა თვს'ა ურიც-  
ხუთა და ძნელთა წინადა-  
დებათა იპყრობს იგი, რომ-  
მელთა უმჯობეს სადმე  
არს არა ცნობად, მაგრამ  
მეცნავე ვარ ნამდვილ, ედ  
ყრმათა...

Хотя нѣкоторые и разсуж-  
даютъ, что для юношества  
въ публичныхъ ученыхъ  
мѣстахъ словеснымъ нау-  
камъ обучающагося, не на-  
добно преподавать, потому  
что премного въ ней на-  
ходится пустыхъ сбивчивыхъ  
и замысловатыхъ такихъ  
вопросовъ, коихъ лучше со-  
всѣмъ не знать, однако я  
подлинно увѣренъ, что  
юноши...

საყურადღებოა, როგორც სიტყვა სიტყვით თარ-

1) ასლასან გამოვიდა პეტრის წიგნაკი გ. იოსელიანის, რომელიც შეიგნავს ლოგიკას.  
ს. ს.


2) Praefatio ad benevolum lectorem de dignitate, necessitate et utilitate metaphisices.



გმნა რუსული ენიდან, აგრეთვე ტერმინოლოგია, რომელსაც ხმარობს ანტონი. არსი - сущее; არ არსი - несущее; შესაძლებელი, შეუძლებელი - возможное, невозможное; წერილის გვარი - стиль; არსება არსისა შეუცვალეზებელ სადამე არს და უზიარებელ - сущаго есть непремѣнная и несообщимая; უსაზოგადოესი - всеобщий; დადებულება - положение; სახარაქტიკო - характеристический; ყოვლადი და კერძო - целое и часть, სრულება - совершенство; არსი შეზავებული - сложное существо.

ანტონი თავის თარგმანს ამკობს შენიშვნებით, სადაც სხვათა შორის მოხსენებულთა იოანე პეტრიწი. თუმცა ანტონის საფილოსოფიო თხზულებებში არ მოჩანს საკუთარი მისი შეხედულება და არ შეუქმნია თავისებური საფილოსოფიო მოძღვრება, მაინც მისი ნაწერები მეტათ შესანიშნავნი არიან არამც იმ დროისათვის, ახლაც ჩვენი ტერმინოლოგიის შესამუშავებლათ.

ა. სასანაშვილი.



ს ა ლ ა მ ო .

ით ცხურის ფარა, საბადასათ  
გაშეკუელი ძაღლა მთაზე,  
ერთ ლაგას გაშლილიყო  
ღრუბლის გროვა ლაქვარდ ცაზე.

მიმაკვალ მზეს ეს ღრუბლები

შეეღება ღებოს ფერათ,  
თითქოს სურდა, თვისი ბინა  
მოკვასმა შესაფერათ...

სსიგნი, მისგან გაგზავნიღნი  
ღარ წავადენ დედა-მიწას...

მხოლოთ გუღზე ესკოდეენ  
და ჭკოცნიდეენ ნაწათ იმას.

ჭკოცნიდეენ და ჩუჩხულებენ:

„ღღეს რომ გწავდით მთელი დღეო,  
მეტის გძმობით მოგვდიოდა, -

საუვარქლო, შეგვინდეო!

„ან კი, გვითხარ, რას ვიზამდით? -  
რომ დაგხედეთ ამ დღითო,

გუღი ტუჭათ შეგომოს  
ტარინი უვავიდიოთ;

„წელზე წვალი შემოგერტვა  
მოჩუსჩუსე, ანკარა...

ნუ თუ გუღის მოსასიბლათ  
მარტო ესეც არ კმარა?!

„დაგვეჩეთ, ესით მოვარღნი,  
კერძო გვიდღით მთელი დღეო,  
და, თუ დაგვწავ ჩვენა კოცნამ,  
საუვარქლო, შეგვინდეო!“

- კი.

ყამი (შავი ჭირი)

საჯარო ლექცია, წაკითხული 14 თებერვალს შჩიკატ-დო-ცენტრი ნოვაროსის უნივერსიტეტის ბარდახის მიერ.



ასაკვირველია, სამწუხაროა, რომ მეოცე საუკუნის განთიადს ჩვენ წინ ხელახლად იზრდება მრისხანე მოჩვენება შავი ჭირისა. სამწუხაროა, რომ ამის შესასწავლათ უნდა გადავმოლოთ ერთი უბნელესი ფურცლებთაგანი ისტორიისა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, მხოლოთ ზედმიწევნით ცოდნა მისი მიზნებისა და თვისებათა მოგვეცემს საშუალებას მასთან ბრძოლისას; აი, რისთვის ავირჩიე დღეს მე საგნათ ჩემი ლექციისა შავი ჭირი.

ძველ ისტორიკოსებს საზოგადოთ შავი ჭირი მიიჩნდათ ისეთ ავთიმყოფობათ, რომელიც აშავებდა და ხოცდა მრავლისაგან უმრავლესს, მაგრამ იმათი აღწერილობა ამ სენისა ძალიან ბუნდოვანია, ერთი და იგივე ავთიმყოფობის სურათი შესაძლებელია მივილოთ სხვა-და-სხვა გადამდები სენის ფორმათ. ნამდვილათ აღწერს ამ სენს ორიბაზა, და იმის მიხედვით შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ მესამე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდის შავი ჭირი სუფევდა აფრაკაში და ასურეთში. მეექვსე საუკუნის ნახევარში, ეგრეთ წოდებულმა იუსტინიანეს შავმა ჭირმა ააოხრა მთელი მაშინდელი დასახლებული ქვეყანა. იგი ორმოცდაათი წლის განმავლობაში (531—581) მიძინვარებობდა აფრიკაში, პალესტინაში, გალლიაში და სხვ. მაშინდელ ქრონიკებში პირველათ ვხედვით სახელს ჯირკვლებიანი (ბუბონიანი) შავი ჭირისა „pestis ingniliaria“. ეს პირველი შავი ჭირი განიჩივეოდა თავისებურ სიმსივნებით ლიმფატური ჯირკვლებისა,




შავი წერტილებით ტანზე და ნერვების სისტემის დაშვებით. ზოგნი ავთმყოფთავანი ეძლეოდენ ლეტარგიულ ძილს (სალათას), ზოგნი სიბრაზეს ჩენდენ. ბევრნი ზღვაში ვარდებოდენ, სადაც, რასაკვირველია, ილუპებოდენ. ხან მათ ეჩვენებოდათ ეშმაკები, ხან სასოწარკვეთილებაში ავდებდენ უჩინარნი ხმანი, რომელნიც მათ სიკვდილს უქადიდენ. აქედან დაწყებული შავმა ჭირმა ათასი წლის განმავლობაში დაირბინა ყველა მხარე ევროპისა; განსაკუთრებით მკაცრი იყო „დიდი და შავი სიკვდილი“ (великая и черная смерть). ამ სახელით ცნობილია შავი ჭირი მეთოთხმეტე საუკუნისა. ის გადმოვიდა ჩინეთიდან, სადაც 13 მილიონი ხალხი იმსხვერპლა, ირანზე, მესოპოტამიაზე, ასურეთზე, კასპიის და შავი ზღვების კიდეებზე კონსტანტინოპოლში, აქედან—ევროპაში. აქ გაწყდა 24 მილ., თითქმის  $\frac{1}{4}$  მთელი მცხოვრებლებისა (ახიაში კიდევ უფრო მეტი იმსხვერპლა). 1346—1356 წ. ხანაანში ყოველ წლივ იხოცებოდა მართა შავი ჭირისაგან სამ მილიონამდის თუ რაოდენათ მძვინვარებდა ეს სენი, ამას ამტკიცებს შემდეგი ამბავი: ქაირში წყდებოდა დღე და ღამ 10,000 ადამიანამდის, ბაღდადში სამი თვის განმავლობაში დაიხოცა 60,000 ადამიანი, ამოწყდა  $\frac{9}{10}$  მთელი ლონდონისა. რუსეთში ქქ. გულუზხოვის და ბელორუსერსკის მცხოვრებნი სრულიად ამოწყდენ. 1786 წელს სმოლენსკში დარჩა ცოცხალი მხოლოდ 10 კაცი.

ავთმყოფს ჯერ შეახურებდა, მერე სრულიად სასოწარკვეთილებაში ჩაადებდა, შემდეგ მომეტებულათ ააღლეგებდა, სისხლის დენა ჰქონდა, მერე შავათ გამოჰვენდა ტანზე და ბოლოს ლიტვატიურ ჯირკვლებს დაუსივებდა.—აი, საზოგადო სურათი ავთმყოფობისა. მხოლოდ მეთოთხმეტე საუკუნეში იწყეს ზომების მიღება საზოგადოების დასაფარავათ.


ვენეციაში შემოღებული იყო ერთობ რთული სისტემა კარანტინებისა. მეთექვსმეტე საუკუნიდან მიაქციეს ყურადღება ქალაქების სისუფთავეს, რადგანაც მასში ხედავდენ უკეთეს საშუალებას ჭირისაგან თავის დაფარვისა. იმ დროიდანვე მიხედენ, რომ ევროპაში შემოდის შავი ჭირი აფრიკიდან და აზიიდან; იმიტომაც მას აქეთია დღევანდლამდის კარანტინების სისტემა გამართულია.

მიუხედავად ამისა შავი ჭირი მაინც მძვინვარებს მეჩვიდმეტე საუკუნეშიაც. ჩვენ ეხედავთ მთელს წყებას სასტიკი ეპიდემიებისას, მაგ., ლიონში, ლონდონში და სხვ. შავი ჭირა საშიშრათ მოქმედებს ხალხის გამოხატულებაზე. ლონდონში ეპიდემიის დროს ავთმყოფები გრძნობდენ მომეტებულ თავის ტყივილს, მომეტებულ სიცხეს, რომელიც თითქო წვადა შიგნე-



შავ ჭირიანი გვამების დასასვენებელი კოშკი ინდოეთში.





შვედური გემების დასაწვავი საკირე, კოკონი ინდოეთში.

ულობას, და მასთან ერთად შვე-მოსისხლო ოფლს ას-  
ხამდა ავითყოფს და მეტად ცუდი სუნი უდიოდა.  
ზოგი ღროებით უეცრად ჭკუიდან შეიშლებოდა,  
ზოგს ტანზე შავათ გამოფენდა და იხოცებოდა.

ადილი წარმოსადგენია, თუ როგორ მოქმედებ-  
დენ ამგვირი სურათები საზოგადოების სულიერ მდ-  
გომარეობაზე. პირველი შედეგი იყო შიში სიგი-  
ყმდის მიღწეული, რასაც არა ნაკლებ შავი ჭირისა  
მანებლობა მოჰქონდა. შავი ჭირი მიაჩნდათ ღეთის  
რისხვით, ჯოჯოხეთის მამხალათ, მანენ სულების შო-  
ბილათ, იგი ბადებდა საზოგადო სიგიყეს, საზოგადო  
გარყენილებას, რომელიც ავიწყებდა მათ ყოველ ადა-  
მიანურ გრძნობას.

ქუჩებში დაიარებოდნენ გახვეულნი შვე-გაქონილ  
ტანისამოსებში (მორტუსებში) და ჩანგლებით ითრე-  
დნენ სახლებიდან მკედრებს, ან და მიყავდათ საეჭვო  
ადამიანებიც.

უკვე მეთვრამეტე საუკუნეში შავი ჭირი ვერ  
ახერხებს ევროპაში საზოგადო გავრცელებას, თუმცა  
კი იყვენ მკაცრი ეპიდემიები, მაგ., 1770—71 წ.  
მოსკოვში, სადაც 60,000 ადამიანის დაღუპვა.

მეცხრამეტე საუკუნეში ვხედავთ, რომ შავი ჭი-  
რი თან-და-თან შორდება ევროპას და მიიწევა აზი-  
ისაკენ და ჩრდილო-აფრიკისაკენ. 1845 წლის დამ-  
ლევს შავი ჭირის ათას-წლოვან ისტორიაში პირ-  
ველათ დგება ათი წლის ხანა, რომლის განმავლობა-  
შიაც მთელს დედამიწის ზურგზე არსად აღარ ყოფი-  
ლა შენიშნული. 1856—57 წ. ხელახლად ჩნდება შა-  
ვი ჭირი ტრიპოლში, არაბეთში, ბალდალში, სპარსეთ-  
ში და ჩინეთში.

თუ ვეტლიანის ჟამს არ მოვიხსენიებთ მეორე  
ნახევარი მეცხრამეტე საუკუნისა ევროპაში სრულიად  
თავისუფალია შავი ჭირისაგან.

ახლანდელ ეპიდემიას ბომბეაში სათავეთ უქმეს  
ის შავი ჭირი, რომელიც უკვე განუწყვეტლივ ოცი  
წლის განმავლობაში მძინვარებს ჩინეთის პროვინ-  
ციაში იუნ-ნანში. შავი ჭირი ერთგვრათ ადვილათ  
ერცვლდება მკაცრ სიციფებში და ცხელ ზაფხულის  
თვეებში. საზოგადოთ არ შეიძლება რაიმე კავშირი  
დეადგინოთ შავ ჭირსა და მეტეოროლოგიურ გა-  
მოკვლევათა შორის. არც მიწის ნიადაგს აქვს დამო-  
კიდებულება მასთან. ერთგვრათ ადვილათ ერცვლ-  
დება ტიბეტის ქედზე და ეფთრატის ვაკეებში.



მქიჯროთ მცხოვრებნი კანტონისა და არაბეთის უღაბნოებში მოწოწილად ხალხი ერთგვარათ იტან-ჯებთან შავი ჭირისაგან.

როდესაც 1884 წ. იერსენი იკვლევდა შავს ჭირს გონკონგში, სადაც რამოდენიმე კვირის განმ-ვლობაში გაწყდა 60,000 ადამიანი, ის მუდმივ ნა-ხულობდა ბლომათ გასივებულ ლიმფატიურ ჯირკვ-ლებში ერთ-ა და იმავე სახის ჯოხებს. ჯირკვლები იერსენის მოხდენილი სიტყვით წარმოადგენენ ბაცი-ლების „პიურეს“. შესაძლებელია სისხლშიაც ენახოთ ეს ჯოხები, მხოლოდ მაშინ, როცა ავთიმყოფი სიკვ-დილზეა მიმდგარი.

კაცის სხეულის ორგანოებიდან იერსენი იღებ-და ამ ჯოხების ნაშენს (разводки), დამარბებდა იმით ავთიმყოფობას თავგებს და ვირთაგებს და ამგვარათ ხოცავდა მათ. შესანიშნავი ის იყო, რომ ცხოველები იხოცებოდნენ იმ პირობებში, რა პირო-ბებშიაც წყდებიან ხოლმე თავგები და ვირთაგები ეპიდემიის დაწყების წინ და ეპიდემიის დროს. ამ და-ხოცილი თავგების გამოკვლევის დროს, იერსენს გა-მოქონდა მათი სხეულიდან იმგვარივე ჯოხები, რო-გორიც წინათ შავი ჭირით ავთიმყოფის ჯირკვლები-დან. შემდეგ, მან მოახერხა შავი ჭირის ბაქტერიის პოვნა მიწის ნიადაგში, მაგრამ ნაკლებ შესამიანი. ერთსა და იმავე დროს იერსენთან ერთათ იმგვარივე ჯოხი ნახა იაპონიის მეცნიერმა ხიტოზატომ.

სტუდ. სგ. მდივანი.

(შემდეგი იქნება)

### წერილები ინგლისიდან.

VII \*)

ლ ა ნ დ ა ნ ი.

**ლ**ანამ ქვევით წავიდოდეთ, საჭიროთ მიგვაჩ-ნია მკითხველს ოდნავ მაინც გაეაცნოთ ინგ-ლისის დედა-ქალაქი ლონდონი.

როცა პირველათ რკინის გზით ლონდონში შე-მოდინხართ, თქვენ ყურადღებას იპყრობს ის, რომ ამ შენობათა გროვას ბოლო არ უჩანს. გაივლით ერთ ეოგზალს, მეორეს, მესამეს და თანაც გეუბნე-ბიან, ეს სულ ლონდონის განაპირა უბნებია, შუა-გული ჯერ კიდევ შორს არისო. მატარებელი ელ-

ვასავით მიქრის, თქვენ ვერც ერთი შენობის შე-თვლიერებას ვერ ასწრებთ და ასე გგონიათ, ყოველ-ეს ერთი დიდი სახლი უნდა იყოსო, სახლი სახლზე არის გადაბმული, ქუჩა-ქუჩაზე. მხოლოდ რაღაც ღმუილი ზ გამოურკვეველი ხმაურობა მოაღწევს თქვე-ნამდი. აიხედავთ მალლა ჰაერში და დაინახავთ შავ სქელ ღრუბეოს, რომელიც ბნელი ზეწარივით გადა-ფარებია არე-მარეს გრძობთ, რომ, აი, სწორეთ აქ უნდა იყოს კვამლის, ნისლის და ნესტის სამეფო და თანაც გაგონდებთ შელის სიტყვები: Hell is a city much like London—ჯოჯოხეთი ძალიან წა-გავს ლონდონსო. მარა ყველა ეს თქვენ არ გაფრ-თხობს, არ გაშინებს, პირ იქით; სიამოვნებითაც მიე-მგზავრებით ამ „ჯოჯოხეთში“ და ნატრობთ, როდის იქნება მის ერთ კვამლიან კუნჭულში ბინა გაეიჩი-ნოეო.

მატარებელი გაჩერდა და კონდუქტორმა დაიძა-ხა: „ყველანი უნდა ჩამოხვიდეთო. ძლივს!..“

თქვენ მაშინვე გაექანებით უახლოეს სასტუმ-როსაკენ, ბინას აიჩენთ, და თვალის დახამხამებაში რსვე ქუჩაზე გამოდინხართ, ლონდონს თვალს გადა-ეავლებო. წახვალთ ხან იქით, ხან აქეთ, ივლით ერთ საათს, ორ საათს, ერთ დღეს, ერთ კვირას, ერთ თვეს და თქვენ ჯერ კიდევ ლონდონი არ დაგიტვა-ლიერებიათ! და მაშინ გადაწყევტო; ეს ძალიან დი-დი ქალაქი უნდა იყოსო. ქართველს შეიძლება კი-დეცაც შეეცოდოს ამდენი ხალხი, რომელიც ამ ერთ ალაგას ჩაფრენია და უსიკვდილოთ აღარ ცილდება. და მერე იცით რამდენი ხალხი? წარმოიდგინეთ მთე-ლი კავკასიის მცხოვრები ერთ ქალაქში, რომლის სიგრძე ოცი ვერსტია, ხოლო სიგანე თორმეტი, ერთ ალაგას ერთი მილიონი სახლი, შეიყვანეთ შიგ ექვ-სი მილიონი ადამიანი და გამოვა ლონდონი. ინგ-ლისის მცხოვრებთა მეხუთედ-ნაწილს, აი, ამ ერთ ქალაქში მოუყრია თავი. არც ერთი ერი არ გვიჩვენებს ასეთ საძაგალითო შეჯგუფებას. ეს თანამედრო-ვე ბაბილონია. ამიტომ მისი დათვალიერება, მაზე ერთი აზრის შედგენა ძრიელ გასაჭირია. როცა პა-რიჟში შედინხართ, ორ დღეში უკვე იცით, სად სცეპს მისი დედა-ძარღვი, სად არის მისი სული და გული. აიარ-ჩამოიართ დიდ ბულვარდს და იტყვით, აი, პარიჟო! და არც შეცდებით, პარიჟი უთუოთ იქ არის. ლონდონი კი? სად არა ის? ამოათ დაუწყებთ ძებნას, ის არ არის, არ არსებობს.

მაშ მოჩვენება ამდენა ქალაქი? ჯერ ეკითხოთ, რას უწოდებთ თქვენ ქალაქს? ქალაქი, საზოგადოთ ერთ მთელს შეადგენს, მის ცხოვრებას და მოძრაო-ბას საერთო ელფერი ადევს, მისი სხვა-და-სხვა მიმ-დინარეობა სადღაც ერთდება, ერთ კალაპოტში გროე-

\*) ის. „რეკლამი“ № 35.



დება და ქმნის სულს და გულს ქალაქისას, ერთი სიტყვით, ყოველივე ქალაქი ერთი განკერძოებული მთელი ქმნილებაა, მიუხედავად იმისა, ის სამ მილიონს, თუ სამ ათას მცხოვრებს შეიცავს. ქალაქს ამ აზრით თუ ვინმართ, გამოვა რომ ლონდონი ერთი ქალაქი არ არის. ის უფრო ერთი დიდი პროვინციაა, რომელშიაც მრავალი ქალაქებია მოთავსებული და ერთი მეორეზე ვადაბმული. თითოეულ მათგანს აქვს თავისი საკუთარი ცხოვრება, მაძრავობა, მართვა გამგეობა და სხვ. თვითეული ეპოქაობა სხვადასხვა ისტორიულ მსვლელობას, აქვს საკუთარი წასული, აზის საკუთარი ბეჭედი, გზრდება საკუთარი გზით. ასე ჰგონია, ამით მხალათ გზა დაბნევათ და შემთხვევით ერთათ შეყრილანო. ერთი მხრით, ვაიწია ლონდონი, მეორე მხრით გაფართოვდა მის ახლომანლო მდებარე ქალაქები და სოფლები. აი, ეს მოზარდნი და ჩქარი მოსიარულენი შეხედენ ერთმანერთს ზრდა გასაკვირველია დიდს პატარა შთაფთქა. სოფელი გადაიქცა ქალაქათ, ქალაქი უბნათ. მარა ამით არც ერთს არაფერი არ დაუკარგავს გარდა სახელისა, მიიღო სახელწოდება ახალი — ლონდონი, ხოლო ცხოვრება და წყობილება ძველი შეინახა. ლონდონი, აი, ამითი — შეერთება, ანუ შედგრა ციკლი მისი სამოცი უბანი სამოცი ქალაქს წარმოადგენს, რომელთა შორის გაყოფილია შრომა. მაგ. სიტყვი ფული მოიგება, ვესმისტერში პოლიტიკა იწარმოება, ვესტ-ენდში მრდები გამოიფინება და სხვ. ქალაქი წარმოების, ქალაქი პოლიტიკის, ქალაქი მოდის და დროს-გატარების, ქალაქი ნაოსნობის და მისვლამოსვლის, — აი, ლონდონი, მარა ყველა ეს სხვა და სხვა ალაგას წარმოებს, პარიჯივით ერთ ცენტრში თავმოყრილი არ არის.

ლონდონი ორჯერ მეტ მცხოვრებს შეიცავს, ვინემ პარიჯი, სიერცე კი ხუთჯერ მეტი უჭირავს. ცხადია, ლონდონი გაფართოებული ქალაქია. ამისათვის მისი ცხოვრებაც გაფართოებულია. პარიჯის მთელი ცხოვრება ერთ ცენტრშია მოგროვილი, ერთი ფოკუსია გაკეთებული, საიდანაც გამოკრთის მხურვალე სხივები და მთელ ქვეყანას ათბობს. ლონდონს კი ასეთი თვალის წარმტაცია და გულ-გონებას დამოკრძობელი არა აქვსრა. პარიჯში ერთი წელი ერთ დღეთ გეჩვენება, აქ კი ერთი დღე ერთ წელათ. და მართლაც დიდი მოთმენა უნდა გქონდესთ, რომ აქ გაძლოთ. ლონდონი მხოლოთ თავის სიღლითგაკაციონებსთ, პარიჯი კი თავის ცქრიალა სახით. ლონდონი ყოველ-დღეს, ყოველ თვეს, ყოველ წელს ერთი და იგივეა, პარიჯს კი ყოველ საათში, ყოველ-დღე რაღაც ახალი ამოაქვს თავის დაუშრეტელი წყაროდან

და მით საინტერესოთ ხდება. პარიჯმა ახალი ცხოვრება არის მოწყენა, ლონდონს კი მუდამ სახე მცხოვრებისა.

ლონდონელი businessman — საქმის კაცი და პარიჯელი boulevardier — ბულვარდელი — აი, სამავალითო კონტრასტი. ესენი იმდენათ ჰგავან ერთმანერთს, რამდენათ ლონდონი პარიჯს. ლონდონი ერთი დიდი მადანია, სადაც ექვსი მილიონი ხალხი მიეშობს და ოქრო ამოაქვს. პარიჯი ერთი დიდი ყავახანაა, სადაც სამი მილიონი ხალხი მზიარულობს და მზიარულობს. ლონდონი დუქანია, პარიჯი კი თეატრია. ვისაც ფულის შოვა სურს აქ მოდის, ხოლო ვისაც ხარჯვა, იქ მიდის. ამიტომ არის, რომ პარიჯი საესეა შეძლებული უცხოელით, რომელსაც მხოლოთ სიამოვნება ენატრება, ლონდონი კი საესეა ღარიბი უცხოელით, რომელსაც გროში ენატრება და აქ ფქრობს მის შეძენას. შენიშნულია, რომ აქედან პარიჯში მიმავალი მატარებელი გაქვდილია პარიჯელი და მეორე კლასის მოგზაურით, მესამე კლასი კი ცარიელია. იქიდან აქეთ მიმავალი მატარებელი გაქვდილია მესამე კლასის მოგზაურით, პირველი და მეორე კლასი ცარიელია. აი, ასეთია მათი ჯიბის ვითარება.

ლონდონი არაფრით არ წარმოადგენს ერთ ქალაქს, გარდა ერთისა — მთელ ლონდონს გამდღრების ციება აქვს მოდებული. ამ გზაზე ის პირველი მოხელეა. მან ერთ საიდუმლობას მიაგნო, რასაც ამოთ ეძებს დანარჩენი კაცობრიობა, სახელდობრ: ცოტა შრომით ბევრი ფულის მოგება. ევროპამ მას არაფრის მონოპოლია არ შეარჩინა, ყოველივე გაუგო და თვითონ გააკეთა, სავაიეროთ მას შერჩა ამ საიდუმლოების მონოპოლია, ამისი გამოგლეჯა იმას ხელიდან ვერ მოხერხდა და ვერა.

პარიჯი წაავას ერთ კონტა ეშხით საესე ახალგაზდა ქალს, რომელსაც სიკვლოუცე უფრო აინტერესებს, ვინემ უგულო გროშები. ლონდონი კი ერთი კბილებ-ჩაყარდნილი დედაბერია, რომელსაც ალარაფერი აინტერესებს გარდა ფულისა და — სიმართლე უნდა ვთქვათ — სულის ცხოვნებისა. ამისათვის ეს ქალაქი ერთი გასაშტერებელი შეზავებაა ოქროს და სახარების, კანტორის და ეკლესიის, ვაჭრობის და ქადაგების. ინგლისელს ორი საქმე არ მოწყენება: „ფულის კეთება“ და ქადაგება. მისი საკითხავი წიგნია დავთარი და დაბადება: ის, რომელიც მთელ დღეს თავს ახლის დახლს და ჩოთქს, გამოვა საღამოს და შეუდგება ქუჩის მოციქულობას. მისი სიტყვა და გატაცება იერემია წინასწარმეტყველს მოგავგონებსთ. ამ ნაირათ, ის ერთ და იმავე დროს ემსახურება მამონსაც და ღმერთსაც.



ასეთია ლონდონის საზოგადო სახე, ასე განი-  
ჩევა ის მის მეზობელ და მეტოქე პარიკსა ან.

ახლა გავიაროთ მის ქუჩაზედაც.

სახლავ-განკუთლი.

(შემდეგი იქნება)

ბ ე ბ ი ა.

(ქალია ობჟექტისა).

I.



ქია ავთმყოფი შეილიშვილები<sup>ს</sup> ოთახში  
ხ-ს და წინდასა ჰქსოვს. მეორე ოთახში მის  
ორლამე ნათევე, დაღალულ დაქანტულ რძალს  
წასძინება, მისი შეილი კი თავის საწერ მაგიდას უზის  
და გულმოდგინეთ მუშაობს. კაი ხანია, რაც ჩამ-  
ლამდა, ქუჩაში სამარის სიჩუმე სუფევს, ბევრებს სძი-  
ნათ, ბებია ფიქრობს... ფიქრობს და თან შეუწყვე-  
ტლათ ჰქსოვს წინდას თავისი გაყვითლებული, დამ-  
ჭკნარი ხელებით; საკერეელი სისწრაჟით იცვლებიან  
წინდის ჩხარები და სასიამოვნოთ ელვარებენ ლამპრის  
მკრთალ შუქზე, ბებიას ძირს დაბრილი, წყნარი და  
ფიქრიანი სახე კი ისე მოჩანს ჩრდილში, თოქო ზედ  
თხელი ლეჩაქი ჰქონდეს ჩამოფარებული.

— რა მოუვიდა საწყალ პატარებს, რა ავთმყო-  
ფობა დაერია ასე მოულოდნელათ? ოჰ, ღმერთო,  
ღმერთო! მწუხარებაა და სხვა არაფერი ქვეყანაზე  
ცხოვრება! ყოველი ბედნიერება საეჭვოა, საიმედო  
არაფერი არ არის! დღეს ცოცხალი ხარ, ხვალ იქნე-  
ბა ხსენებაც კი აღარ იყოს შენი! იშვიათათ თუ გა-  
მოერევა ადამიანის სიცოცხლეში იმისთანა დღეები,  
რომ რამე გულსაკლავი მოგონებით ან მომავლის  
გამოურკვეველი შიშით არ იყოს მოწამლული! ამ-  
ბობენ, ყოველი მოგონება შეე დღისთვის დაგროვე-  
ბული სიმდიდრე, საუნჯე არისო... შეიძლება სხე-  
ვისთვის იყოს ასე, ბებიასთვის კი... არა! ბებიასთვის  
ყოველი მოგონება ცრემლის ჩარჩოში გაკეთებული  
ნახატია, ცრემლის ჩარჩოში, რადგანაც მშრალი თვა-  
ლებით არ შეუძლია ამ ნახატს უყუროს... რა მო-  
უვიდა, რა, საყვარელ, პატარა კნუტებს? ვანდას ექი-  
მი დამშვიდებით უყურებდა, ტადომ კი, ეტუობოდა,  
ძალიან შეაფიქრა. მართლაც ეს ბავში სხვა ბავშვებს  
არა ჰგავს, სულ სხვანაირია, თავისებური, ამნაირი  
ბავშვები კი... ოჰ, ღმერთო!


სახლში და სახლს გარეთ ღრმა სიჩუმე სუფევს,  
მხოლოდ ერთი რამ არღვევს ამ საერთო, რაღაც სა-  
იდუმლოებით საესე სიჩუმეს: კალმის შეუწყვეტელი,  
ერთგვარი ფხატუნი ქალაღლზე. ხან-და-ხან ავთმყო-  
ფი გადაბრუნდება ლოგინში და სუსტათ წამოიკენე-

სებს; მაშინ ბებია თავს ზევით ასწევს და მისთვის  
დაზაჯსავით გატვინავს სულს, ცხადთ ეტუობა, რომ  
პირველ საჭიროებაზედვე მზათ არის გაქანდეს, გაუ-  
რინდეს, თავის თავი, მთელი თავისი სიცოცხლე შეს-  
წიროს, ოღონდ კი გამოიხსნას პატარები იმ საშინელ  
აჩრდლის ბრტყალებიდან, რომელსაც მწუხარება  
ჰქვია...

მაგრამ ბავშვებს სულ ძინათ. შეიძლება ეს ძი-  
ლი იმ წამლით იყოს გამოწვეული, რომელიც ეგერ  
დვას შუშით, პატარა რგვალ სტოლზე. რანაირათ  
ბრტყეიალობს ლამპრის შუქზე შუშაზე დაწებებული  
თეთრა ქალაღლი! ყოველთვის სამწუხარო შთაბეჭ-  
დილებას ახდენს ადამიანზე ლოგინთან მიწეულ რგვალ  
სტოლზე დალაგებული პატარა შუშები; ახლაც ამ  
გვარ შთაბეჭდილებას ახდენს ყველაფერა, რაც კი  
ბებრას გარშემო არის: ეს სამარისებური სიჩუმე, ია-  
ტაზე დაფენილი დიდი შავი ჩრდილები, ავთმყოფა  
ბავშვების მოუსვენარი სუნთქვა და კალმის წყნარი შე-  
უწყვეტელი ფხატუნი მეორე ოთახში.

რამდენს შრომობს ის მაღალი, მოსული ტანის  
კაცი! შუალამე კიდევ გადავიდა, ის მაინც არ ცილ-  
დება თავის საწერ მაგიდას; ნახევრათ ვაღებულ კა-  
რებიდან ბებია ხედავს მის მოხრილ ბეჭებს, გაჭალრე-  
ბულ თმას და მკაცრ სახეს; შუბლი მთლათ მინაო-  
ჭებული აქვს, ტუჩებს სევდით საესე გამოამეტყველე-  
ბა მიუღია. თვალ-ტანათ შეალი მამასა ჰგავს, ხასია-  
თით კი სულ სხვა არის! იასი მხიარული, გულახდი-  
ლი და გამბედავი იყო, მის სიყვარულით საესე გულ-  
ში ერთა პატარა კუნტულიც კი არ იყო ბებიასთვის  
დაუარული და დახურული, ზიგმუნტი კი... ზიგმუნ-  
ტი დინჯი, ფრთხილი და სასტიკია, დედასთანაც კი!  
დედა ამაში არ ამტყუნებს, არა! არა! მან კარგათ  
იცის, რომ ცხოვრების შეუბრალებელმა ხელმა უწ-  
ყალოთ მოჭმუტუნა შეილის გული, ჯერ მთლათ და-  
აცალიერა ის და მერე მწარე ნაღველით და სევდით  
ავსო... იასმაც ბევრი უბედურება გამოიარა, მანაც  
ბევრი იტანჯა, მაგრამ სხვანაირათ. ბებრამ კარგათ  
იცის სხვა-და-სხვა გვარი ტანჯვის გარჩევა, ბევრი,  
ბევრი უბედურება უნახავს თავის სიცოცხლეში! ზიგ-  
მუნტის უბედურება ის არის, რომ შეუფერებელ  
ღროში ცხოვრობს; თავის ტანჯვას ძალიან ფარავს,  
მაგრამ ამ ტანჯვამ მაინც გაუქვევა ნელ-ნელა სული  
და გული... რაც ტანჯვამ დააკლო, ის აუტანელმა  
მუშაობამ შეუტრულა. ბებია ამართლებს შეილს;  
მისი მთლათ ერთიანათ გაჭალრებული თავი ბევრათ  
უფრო მეტს და უფრო ღრმათ ფიქრობს, ვიდრე მის  
გარშემო მყოფებს ჰგონათ, მაგრამ... მაგრამ ბებია  
მაინც უნდა გამოუტყდეს თავის-თავს, რომ ზიგმუნ-  
ტის ეშინა. იმიტომ კი არა, რომ შეილი უსამართ-  
ლოთ ეპყრობოდეს, ან როდისმე შეურაცხყოფა მიე-





ყენებინოს, არა! ზიგმუნტი ყოველთვის დიდ პატივსაცემს, მაგრამ ბებია იცის, რომ ეს პატივისცემა ჩვეულებაა, უწინდელი დროიდან დარჩენილი ჩვეულება, სიყვარული კი შიგ სულ აღარ ურევია! ოდესმე კი იყო ეს სიყვარული! ახლაც ხედავს ხოლმე მას ბებია ცრემლის ჩაჩოჩოთი შამოზღულულ ნახატში..

ნაზი და მორიდებული, ბებია კრძალვით გაურბის ყოველ სასტიკ სიტყვას, ყოველ უკმაყოფილო გამომხედვას; სიბერე წამ-და-უწუმ ჩასჩურჩულებს ყურში: „ნურავის აწყენ თავს, თვალბში ნურავის ეჩხობება, ნურავის უშლი, ნურავის აბრკოლებო!“ და აი, ის ცდილობს, რომ ოჯახში ყველაზე უფრო პატარა და უმნიშვნელო, განცალკევებული ადგილი დაიჭიროს; და მაინც, მაინც გრძნობს, რომ ვიღაცას უშლის!

რძალი, მუდამ საქმეში გართული და მუდამ რაღაცით შეწუხებული შუახნის ქალი თავის სახლში დას მოიყვანდა, ბებიას ოთახი რომ ცარიელი იყოს... ახლა იმასაც კი ცდილობს, რომ რამე ნაირათ შეიღობოს და ბებია ერთმანეთს დაშოროს, შეიძლება კიდევ იჭივანობდეს. არც გასამტყუნარია! დიანაც ბავშვები დედის უფრო არიან, დედას უფრო ეკუთვნიან, ვიდრე ბებიას!

სიტყვით ბებიას არაფერი არას აყვედრის, მაგრამ ხან-და-ხან განზე გადმოხედვა, რამე მოუთმენარი მოძრაობა ყოველ სიტყვაზე უფრო მჭევრმეტყველია! ბებიასთვის კი არც ისინია საჭირო! უიმისოთაც კარგათა აქვს შეგნებული, რომ ამ სახლში ისეა მეტი, როგორც წიგნში ჩადებული და დავიწყებული გაყვითლებული წერილი, რომლის წასაკითხათაც კი არაფერს სცალია. არც არაფერს თხოულობს! შეილის წყალობით ყველაფერი აქვს, რაც კი რამ ეჭირება, თბილი კუთხე, საქმელი, ტანსაცმელი... კიდევ რომ მონდომოს რამე, სასაცილო იქნება, თუ უარესი არა! ამიტომაც არას თხოულობს, თუმცა ხან-და ხან იგრძნობს თავის გეამში ადამიანის სულის, ქალის ნაზ და მოსიყვარულე სულის, რომელსაც მარტო საქმელი ვერ აძლებს, მარტო თბილი ოთახი ვერ ათბობს და რომელიც იტანჯება და წვალობს ტანისათვის უკრძნობელ შიმშილ და სიციფ-საგან...

ტანი გამაძლარია, სული მშვიერი, მაგრამ ბებია ქვიანია და თავის მარტობის მწარე გრძნობას ღრმად იფლავს, იპარხავს გულში, როგორც რამე დანაშაულის. მხოლოდ მაშინ, როდესაც სულ მარტო დარჩება ხოლმე, ჩაჰქინდრავს ძირს გაჭალრებულ თავს, უკრძნობლათ ჩამოჰყრის კალთაში ხელებს და მხოლოდ ამ დროს აძლევს სრულ თავისუფლებას თავის ფიქრებს და ოცნებებს.. მაშინ ითვლის, რამდენ საყვარელ არსებას გამოთხოვებია საუკუნოთ და მაშინ ყველა ის, რაც კი მომწყვდევლია მის დახშულ გულში,

გადმოჰხეტქს ხოლმე მიბნედილ თვალბიდან ცხარე ცრემლებს ნაკადულათ, ნაკადულათ, რომელთა შიაც ათასგვარი სხვა და-სხვა სურათები ეჩვენებოდა სურათებიდან უღიმიან, ელაპარაკებოან ბებიას სამუდამოთ დაკარგული, ძვირფასი სახეები... და მათ შორის ყველაზე ხშირათ, ყველაზე მოუშორებლათ, ცხადათ—ერთი, ყველაზე ახლობელი, ყველაზე ძვირფასი და საყვარელი...

მაგრამ ახლა, ამ წამს, თავის მარტობას და მწუხარებას, თავის სევდას, ბებია უმნიშვნელო და თითქმის ცოდვილ ოცნებებთ თვლის; მწარეთ უსაყვედურებს თავს, როგორ გწუხდი ან როგორ ენატრობდი რამეს მაშინ, როცა ბავშვები, ეს საყვარელი პატარა ბავშვები კარგათ იყვნენ! რა თავმოყვარე და უგულო იყო! რა ჰქონდა, რა, სანატრელი და სატანჯველი მაშინ, როდესაც ეს ძვირფასი პატარა კნუტები მხიარულათ და უზრუნველათ დატრიალობდენ მის გარშემო? აი, მხოლოდ ახლა, ახლა ეწვია ნამდვილი უბედურება! ორთვე ბავშვს ავადმყოფობა აკანკალებს ვერხვის ფოთოლივით, მაგრამ მაინც უნდა გამოტყდეს, რომ ტადოს უღონობას უფრო სწუხს. რა ჰქნას, იცის, რომ ეს დიდი ცოდვაა, მაგრამ მაინც შეიღოს, შეილიშვილებს, ყველას, ყველას ქვეყანაზე—ტადო ურჩევია! საყვარელ კნუტებში ტადო ყველაზე საყვარელი პატარა კნუტია! საკვირველათ ჰგავს იასს! მისთანავე დიდი, მაღალი და განიერი შუბლი აქვს, მისთანავე თვალბები, მოწმენდილი ცის კამარასავით ლურჯი და წყნარი... მერე მთელ ოჯახში ის ყველაზე უფრო მეტო სიყვარულით ექცევა ბებიას, დინახავს თუ არა, მაშინვე გამოეშურება მისკენ და ხელებს ისე ააფთხობს, როგორც პატარა ჩიტის ბარხალა ფრთებს...

რამდენჯერ გაუტარებია ბებიასთან ერთათ პატარა, ბნელ ოთახში ზამთრის გძელი, მოსაწყენი საღამოები!

II.

ზამთრის თითქმის ყველა საღამოებს ბებია თავის პატარა ოთახში ატარებს და დაუღალავათ იპყრებს საყვარელ სახელებს, ყველა იმათ სახელებს, ვინც კი ან სამარეს წაუღია და ან შორს, შორს გადაკარგულა. იგონებს და იგონებს ყველას ბებია, ოთახში კი სულ უფრო და უფრო ღამდება; ბოლოს ისეთი სიბნელე გამეფდება ხოლმე, რომ თვალს აღარაფრის გარჩევა აღარ შეუძლია; მაშინ... მაშინ ბებიას გარშემო რაღაც უცნაური ხდება; სიბნელეში გამოიხატებოან ხოლმე სხვა-და-სხვა აჩრდილები, ჯერ თითო-თითოთ, მერე კი ჯგუფ-ჯგუფათ, სულ უფრო და უფრო მეტი... მაგრამ ბებიას არც უკვირს და არც ეშინია; კარგათ იცის, რომ ეს აჩრდილები მთელ ქვეყნიერებაზე გაფანტულ ძვირფას სამარეებიდან მოვიდნენ მასთან, მოვიდნენ და თანაც ისე მრავლდებიან,



თითქო ვინმე საესე მუჭებით ჰყრიდეს მათ ზევიდან; ბებიას საფარძელის გარშემო, ყოველ კუთხეში, მთელ ოთახში, ბნელაში თეთრათ ქათქათაბენ აჩრდილები, ზოგი მალალი, ზოგი დაბალი, წერაღი, სხვილო, დიდი, პატარა... შუა გულში კი აპართულია დიდი შავი ჯვარი, რომელიც კიდევ უფრო შავათ შოჩანს ამ ბნელაში, ამ თეთრ აჩრდილებს შორის. ყველა ამის ზვეით კი ნაზათ, საყვარულით დაჰფრინავს თავის მსუბუქი ფრთებით წაქსული და წყნარათ, ალერსიანათ ლაპარაკობს; უმეორებს ბებიას საყვარელ სახელებს, ეუბნება სიყვარულით საესე სიყუევებს, აგონებს, ცხადათ უყენებს თვალ-წინ იმ ბედნიერებას, რომელიც ოდესმე საესეებით ჰქონდა ბებიას, რომელიც ახლა საუკუნოთ დაჰკარგა მისმა გულმა, შაკრამ რომელსაც მახსოვრობა სამუდამოთ, სიცოცხლის უკანასკნელ წამამდის შეინახავს. აჩრდილებით საესე ოთახი ახლა წყნარი, ალერსიანი სიტყვებითაც იკვებება; ბებია ყურადღებით ისმენს და მის მიბნედილ თვალებიდან იმდენი ცხარე ცრემლი გორდება შუა კაბაზე რამდენ ნაზ სიტყვასაც ჩაუფურჩოლებს წარსული...

უცრათ კარი ჰკრიჭინს იწყებს... ნელ-ნელა იღება და ბავშვის ნაზი, წკრიალა ხმა ისმის:

— ბებიკოს ძინავს?

— არ ძინავს, ჩემო კნუტო, არ ძინავს, შენ გენაცვალე, რა იყო?

— ააფეი, ისე მოედი, ბებიკოსთან მოედი!

და ტადო სწრაფათ ჩაუხტება ხოლომე კალთაში ბებიას. ბებიას უნდა ლამპარი აანთოს, მაგრამ ბავშვი ისე მაგრათ ეხვევა თავის პატარა ხელებით, რომ განძრევის ნებასაც არ აძლევს ან კი რა საჭიროა ლამპარი? განა ბნელაში არ შეიძლება ბებიას ხან ერთ და ხან მეორე დამკვანარ ლოყაზე კოცნა, მის თქაშა ხელების ფაჩუნი რე შეუწყვეტლათ ტიტინი?

— ბებიკო, ექცები!

ბავში ყოველთვის ხარბათ სწაფლობს ყოველ ლექსს, რომელიც კი ბებიას ზეპირათ ახსოვს.

და აი, ორივე იწყებენ:

„შენი მიწების სახელები

შენც ხომ არ იცი ძამია?“

„შენი მიწებიც ცამკაი

შენც ქომ არ იცი, ძამია?“

ბებიას აკანკალეზულ ხმას ლამაზათ შეუერთდება ხოლომე ბავშვის ნაზი წკრიალა ხმა... აჩრდილები ნელ-ნელა ჰქრებიან და ერთმანეთზე მიხუტებულ მოხუც და ახალგაზდა სახეებიდან სიბნელოში საყვარულის და ალტაცების სხივები ცვივა...

ქალ. წერეთელი.


(შემდეგი აქტა)

მგზავრის შენიშვნები.

ქართული

(ქვემოთ) \* )

III.



ევროპაში რისთვის გამკრალა სტუმართ-მოყვარეობა? რისთვის არ იცის ევროპიელმა სტუმრის მიღება და პატივის ცემა? ამის მიზეზი თვით ევროპის სოციალური ცხოვრებაა. სტუმართ-მოყვარეობას აქ რეალური ნიადაგი არა აქვს და უნიადგოთ ხომ ევრაფერი ვერ იხვირებს. ძველ დროში, როცა სტუმართ-მოყვარეობა წარმოდგა და განვითარდა, წარმოება და ნაწარმოების საზოგადოების მიერ მოხმარება კომმუნისტურ წეს-რიგზე იყო დამყარებული. ევროპის ახლანდელ ცხოვრებაში კი სასტუკო ინდივიდუალობაში მეფობს. თუ არ ეცდები, ჰობსმა შემდეგი სიტყვები — *Bellum omnium contra omnia* (ბრძოლა ყველასა ყველასთან) — ძველი დროის „ველურების“ საზოგადოებათა შესახებ წარმოთქვა. ძველებურ კომმუნისტურ საზოგადოებს შესახებ ასეთი აზრი შემცდარათ უნდა ჩაითვალოს, მარა სამაგიეროთ იგი დღევანდელ ევროპის ცხოვრებაზე ზედ გამოჭრილია და სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს. დიად, ევროპის თანამედროვე ცხოვრებაში სასტუკო ბრძოლაა გამეფებული, სწორეთ აქაა, რომ ყველა ყველას ებრძვის. ავიღოთ, მაგალითათ, ფაბრიკანტი, ზაფადების, მანქანების პატრონი. ებრძვის ფაბრიკანტი ფაბრიკანტს. თითოეული ცდილობს მეორეს აჯობოს, მეტოქობა გაუწიოს, საკუთარი საქონელი გაჰყიდოს და მეორე მშრალზე დატოვოს. ეინც უფრო იფუათ ჰყიდის საქონელს, მყიდველსაც ის შოაულობს. ამიტომ ყოველი ფაბრიკის პატრონი, ყოველი კაპიტალისტი მუდამ იმის ცდამია, რომ საქონელი, რაც შეიძლება, ნაკლებ ფასათ დაისვას. ეს შეიძლება მანქანების გაუმჯობესობით და მუშისთვის ნაკლები ქირის ძლევით. იგი იძულებულია მუდამ თავის მეტოქეს უთვალთვალოს, მისა წარმოების საიდუმლოები გაიგოს, რომ თვის სასარგებლოთ გამოიყენოს. ეინც მეტ საქონელს დაამზადებს და ამასთან დაკლებულ ფასათ, გამარჯვებულოც ისაა. ის ფირმა კი, რომელიც გუშინ მილიონებს ატრიალებდა და რომელსაც დღეს წარმოების ტენიკის გაუმჯობესობაში მეორემ აჯობა, კრახს იძახის და მისი მილიონები ჰაერში იფანტება... ებრძვის წერილი მწარმოებელი მსხვილს, ე. ი. პატარა კაპიტალისტს. პატარა შეძლების მწარმოებელს, რასაკვირველია, არ შეუძლია იმდენი საქონლის დამზადება, რამ

\*) ის. „აკვლი“, № 40.



დენიც დიდს. ამასთან მას საქონლის დამზადებაც შედარებით ყოველთვის უფრო ძვირათ უჯდება, ვინემ იმას, რომელსაც უშველებელი ფაბრიკა-ზაოდები აქვს, მრავალი მუშა ხელი, დიდძალი გაუმჯობესებული მანქანები, დიდძალი შედარებით ნაკლებ ფასათ ნაყიდი დასამზადებელი მასალა. მიუხედავად ამისა, ჩვენ წარმოვიდგინოთ რომ ორივეს, დიდსაც და პატარასაც, საქონელი ერთ ფასათ დაუჯდება, ბაზარზე მაინც მსხვილი მწარმოებელი აჯობებს წვრილს. პარველი, რადგან მას დიდი კაპიტალი აქვს, შედარებით წვრილთან ბევრ საქონელს ამზადებს და, მაშასადამე, ბევრსაც იგებს. წარმოება წვრილებს თან-და-თან ხელიდან ეცლება და დიდი კაპიტალისტების ხელში გადადის.— ებრძვის კაპიტალისტი მუშას და მუშა კაპიტალისტს. პირველი ცდილობს მუშა მეტ ხანს ამუშაოს, მეტი საქონელი დაამზადებოს, მეტი ოფელი დადგერეწინოს და ქირა კი ნაკლები მისცეს. თუ კაპიტალისტი წინეთ მამაკაცს ჰქირაობდა და ამუშავებდა, შემდეგ მან მუშას ოჯახიდან ცოლი, ქალიშვილი გამოსტაცა და თვის ფაბრიკაში შემოიყვანა სამუშაოთ; ეს იმ განზრახვით, რომ ქალის შრომა ნაკლებ ფასობს და სამუშაოში ნაკლები ხარჯი გასვლოდა. მაგრამ ის ასე ქირა დაკლებულ მუშა-ქალითაც არ დაკმაყოფილდა და ოჯახიდან გამოიყვანა სულ ჩვილი ბავშვებიც სამუშაოთ, რომ ამით საქონლის დამზადება კიდევ ნაკლებ ფასათ დაესვა. ამ გვარათ მან ბრძოლა თვით გალატაკებულ ოჯახშიაც შეატანა და ქმარი და ცოლი, დედ-მამა და შვილები სარჩოს მოსასპობლათ ერთი ერთმანერთს შეატაკა... ებრძვის მუშა კაპიტალისტს, ცდილობს ნაკლებათ გააყვლიფინოს თავი, ტანჯვა შეიმციროს, მეტი ქირა მიიღოს... ეს ბრძოლა გადადის მწერლობაში, პოლიტიკაში, კანონმდებლობაში... ებრძვის... აბა, ვინ არ იბრძვის აქ? ებრძვის მედუქნე მედუქნეს, მოხელე მოხელეს, ექიმი ექიმს, მასწავლებელი მასწავლებელს და თვით სკოლაშიაც კი ბრძოლა მოწაუვებისა (კონკურსი, ეგზამენი, „დიპლომი“). ყველა იბრძვის და ამ ბრძოლაში ყველას ნერვები დაჭიმულია...

ასეთი ბრძოლა არსებობსათვის ხელს არ უწყობს, რასაკვირველია, ისეთი მხარეების განვითარებას, რომლებსაც ეკუთვნის, მაგალითათ, სტუმართმოყვარეობა და, თუ გნებავთ, საზოგადოთ მოყვრის სიყვარული, მებრალეობა, დახმარება, სხვისთვის თავის დადება, თავის თავის განწირვა და ბევრი სხვა ასეთი კარგი რამეები. ასეთი თვისებანი ძველებურ იდეალურ ცხოვრებას ეკუთვნის, აქ კი იდეალის ადგილი არა აქვს. ცხოვრებას მენახიში სულ სხვა გვარათაა მოწყობილი. შეიძლება კერძო ადამიანი ძალიან კეთილი გულისაყ იყოს, თვისი მოყვასი ძალიანაც ებრალეობდეს, მაგრამ ცხოვრებაში, პრაქტიკულ მოქმედებაში ის ამას ვერ გამოიჩინს, სურ-

ვილს საქმეთ ვერ აქცევს. ავიღოთ მაგალითი. წარმოვიდგინოთ, რომ კაპიტალისტი, რომელიც ამდენი, ძალიან კეთილი გულის კაცია, სხვია ტანჯვა მასაც ტანჯავს, სხვისი შეწუხება მასაც აწუხებს და აღონებს. მაგრამ შეუძლია კი მას ნამდვილ ცხოვრებაში მუშები არ დატანჯოს, არ გაყვლიფინოს, არ მოატყუოს? რასაკვირველია, არა მანაც ისევე უნდა ჰყვლიფინოს მუშა ხალხი, ისევე უნდა ტანჯოს, როგორც ამას მისი მოწინააღმდეგენი შერებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მან მუშებს მეტი ქირა აძლია და ნაკლები ამუშავა, მის ფაბრიკა-ზაოდში დამზადებული საქონელი სხვიაზე უფრო ძვირათ დამზადებული გამოდგება, ბაზარზე მას ამ ხარჯის კვალობაზე არავინ იყიდის, რადგან სხვები უფრო იფათ ჰყიდიან, ერთი სიტყვით „გულ კეთილი“ კაპიტალისტი კონკურენტებს წინააღმდეგობას ვერ გაუწევს და გაკოტრდება; დაჩება მას ხელში მხოლოთ თვისი „გულ კეთილობა“, რომელიც არც იქმნება, არც იშლება და არც გაიყიდება...

ვინ მოთელის, ვის შეუძლია გაითვალისწინოს, რამდენი სული ადამიანი უმსხვერპლია ევროპის სასტიკ ბრძოლას და რამდენი ახლა იწირება მას მსხვერპლათ. თუ როგორ სისასტიკემდის, როგორ შეუბრალელობამდის მიღის ეს ბრძოლა, ამის დანახვა მკითხველს შემდეგი ორიოდ მაგალითიდანაც შეუძლია.— როგორც ვთქვით, კაპიტალისტები საქონლის გათვების ძებნ თ გატაცებულნი, იქამდის მივიდნენ, რომ მათ მუშათა ოჯახებიდან გამაყვანო ჩვილი ბავშვები და თავიანთ ფაბრიკებში ამუშავებენ. ამ მიზრით განსაკუთრებით უკვდავი სახელი მოიხვეჭეს დევონშირის ფაბრიკანტებმა. მათ ფაბრიკა-ზაოდებში შეჰკავთ 3—4 წლის ბავშვები და წყვლების ცეპით აჩვევდნ მანქანების ხმარებას. თუ პატარა წვლებულნი შიმშილით ღონე მიხდილნი ტირილს დაიწყებენ, მათ მიაბამდნ სკამებზე მანქანებთან და წყვლების ცეპით დაჩუმებდნ... თუ წინეთ პატარა ბავშვების მიერ თავის მკვლელობის მაგალითი წარმოუდგენელი იყო, ასეთი მაგალითები აქ მოხდა და შემდეგ თან-და-თან გახშირდა.—ამაზე არა ნაკლებ სასახელოთ ექცეოდნ კაპის (Le Cap) მადნებში მუშა-ზანგებს კაპიტალისტები. აქ მუშებს დღით და ღამით ადგენ თავზე დამაჩებით შეიარაღებული მეთვალყურეები და უღარაჯებდნ, რომ მათ ძვირფასი ქვები არ მოეპარათ. მაგრამ კაპიტალისტებს ასეთი თვალყურის გდება საკმარისათ არ მიაჩნდათ, მაინც ეჭვი ჰქონდათ, რომ მუშები ძვირფას თვლებს მოიპარავდნო. ამ სთვას მათ ერთგვარ ბუნებრივ მოთხოვნილებას ბძანებით შეარულებიებდნ და შემდეგ განავალს სინჯავდნ, თუ ვინმემ ჩაყლაპა თვალი, აქ გამოჩნდებო... ან და, აი, როგორ იჩინებს ჩადიოდნ და, იქნება, ჩადიან კიდევ ახლაც ინგლისელი და გერ-



მანელი გემის პატრონები. დაზღვევენ დიდძალ ფულ-  
ში ყოვლად უფარვის, დაძველებულ და მოშლილს  
და გაუშვებდენ ზღვაში. რასაკერვლია, ასეთ გემებს  
ზღვის ტალღები ადვილათ ამსხვრევდა, გემზე მოსამ  
სახურეები დამტყრეულ გემთან ერთათ ზღვის ძირ-  
ში თევზების სარჩოთ ხდებოდენ და კაპიტანისტები  
კი დამზღვევ საზოგადოებიდან დაღუპულ გემის ფასს  
იღებდენ და თავის უთვალავ სიმდიდრეს კიდევ  
სიმდიდრეს უმატებდენ. რაში ენაღვლებოდათ მათ  
ზღვაში ჩამარხული მოსამსახურეები; — ერთ ქართულ  
გაზეთში ამას წინეთ ვრცელი წერილები იბეჭდებო-  
და „შაუმოვის სეკდებზე“. რასაკერვლია, „შაუმო-  
ვები“ ყოველ ზნეობადაუჩლოუნგებელ ადამიანში  
ზიზღს გამოიწვევენ. მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში ამით  
მაინც შეგვიძლია ვინუგეშოთ თავი, რომ ბედს შაუ-  
მოვები მარტო ჩვენთვის არ ურგუნებია ევროპასაც  
ჰყავს თავისი შაუმოვები და ევროპული სხვა და-სხვა  
საქონლის ფაღსიფიკაცია, გაყოლებმა „შაუმოვის სე-  
კდებს“ არ ჩამოუყარდება. თუნდა ის გავისხნოთ,  
რომ ინგლისში გამომცხვარ პურს ანალიზი უყვეს ღ  
აღმოჩნდა შიგ შაბი, საპონი, კირი და ცარცი!.. და  
ეს ყველა ერთი ერთმანერთში არეული „პურის“ სა-  
ხელით იყიდებოდა...

ასეთი ბრძოლაა, ასეთი სისასტიკეა შინაურობა-  
ში, „თავისიანებში“. ბრძოლა სხვა ხალხთან, სხვა ნა-  
ციასთან ამაზე ბევრათ შეუბრალებელია. აი, დაუფ-  
დოთ ყურ, როგორ აგვიწერს ჩუდი პორტუგალიე-  
ლების გამგეობას ამერიკაში და პორტუგალიელ კო-  
ლონიტთა ქცევას ინდიელების მიმართ. „პორტუგა-  
ლიელები, — ამბობს ის, — საგანგებოთ წვრთნიდნ  
დიდ ძალებს განსაკუთრებით ინდიელებზე სანადი-  
როთ და საცა შეუბრალებელი მონადირე თვითან  
ვერ იპოვიდა მტერს, იქ გაწვრთნილი მეძებარა უწყე-  
და დახმარებას და მტერს უჩვენებდა. ავიცრები ერ-  
თმანერთს ეჯიბრებოდენ ასეთი ძალების მოპოება-  
ში და ერთმა მათგანმა ისეთ ველურობამდის მიალ-  
წია, რომ თავის ძალებს ინდიელების ხორცს აქ-  
მევედა და ამგვართ ნადირობისთვის „ჰკეშავდა“. რო-  
ცა ინდიელებით ვაჭრობა გავრცელდა, მათ თითქმის  
სრულიად დაეკარგათ ფასი და აზიტომ ექსპედიციე-  
ბის ე. ი. ინდიელებზე ნადირობის დროს პორტუგა-  
ლიელები იმას კი აღარ ეძებდენ, რომ ისინი დაეჭი-  
რათ და ტყვეთ წაეყვანათ, არამედ იმის ცდაში იყ-  
ვენ, რომ, რაც შეიძლება, მეტი გაეწყვიტათ. მათ  
გასაწყვეტათ არც ერთ სამარცხენო საშუალებას არ  
ერიდებოდენ. ტყეში ჰკიდებდენ სკარლატინით და  
ყვავილით გადაცვალბულთა ტანისამოსებს იმ გან-  
ზრახვით, რომ ინდიელები ამ ტანისამოსებს წაიღე-  
ბენ და ამ გვართ მათში გავრცელდება მარაჟული  
და ერთიანათ გაწყვეტსო“... — იქნება, თქვათ, ეს ამ-

ბები ძველი დროისაა. ჯერ ერთი რომ ეს არც მან-  
დენი ძველი დროისაა და გარდა ამისა ასეთივე სა-  
ზიზღარი ამბები სულ უკანასკნელ ხანებშიც ხდებო-  
და. მაგალ., 1880 წ. ცელტური (მოგზაური) და-  
პატიყა კუქტოუნის აფიცრება ინდიელებზე ნადირო-  
ბის საყურებლათ, რასაც იგი უბრალო გართობისა-  
თვის ჩადიოდა. — ჩრდილო ამერიკელები უტახის უდაბ-  
ნოების ქებში ტრიხინებს აწრავლებდენ, რომ წი-  
თელ კანიანები ამ ქებიდან წყლის ხმარებით მოწამ-  
ლულიყვენ, ინგლისელი კოლონიტები ტანმანიაში  
წყვეტდენ ადგილობრივ მკვიდრთ, რომ მათი ხორცი  
ძაღლებისთვის ეძლიათ სარჩოთ... — ინგლისელი ქა-  
ლები აესტრალიაში შიმშილობის დროს ფქვილში  
თაგეს შაქარს ურევდენ და ისე აძლევენ ადგილო-  
ბრივ მათხოვრებს, რომ სრულიად გაეწყვიტათ“...

როგორც ხედავს მკითხველი, ევროპის ცხოვრე-  
ბაში იდილია აღარაა, არამედ გამწარებული ბრძოლა,  
ბრძოლა სიკვდილ-სასიცოცხლო. მთელი ამ ბრძო-  
ლს მიზანი კი ქონების, ფულის შეძენაა. ფულა!  
აბა, რა არ არის ფული? ფული ყველაფერია. რა არ  
შეუძლია ფულს, რას ვერ გააკეთებს ფული? ყველა-  
ფერს. „ფული ვისაც აქვს, კაციც ის არის!“ რას  
ვერ იშოვით ფულით?! ფული გაქეთ, — ბატონი ხართ,  
არ გაქეთ ფული — ყმა. აქ ცხოვრება ისეა მოწყობი-  
ლი, რომ ყველგან ფული გჭირიათ, უფულოთ ერთ  
ფხს ვერ გადადგამთ. არ გაქეთ ჯიბეში ფული, —  
გარეთ ტყვილა ნუ გადიხართ. ან რის მაქნისი იქნე-  
ბით, რას ნახავთ, რას გაიცნობთ, რას იშოვით, ვინ  
რას მოგცემთ! მაგრამ ფული ქუჩაში არ ჰყრია, მას  
ტყვილა არავინ მოგცემს, მის მოსაპოებლათ შრომაა  
საჭირო და უშრომლათ მას მდიდარ გარდა ვერავინ  
იშოვს. აქედან წარმოდგება ფულის დაზოგვის საჭი-  
როება, ყაირათი, ანგარიში. ევროპიელი მუდამ ან-  
გარიშშია: მიდის სადმე — ანგარიშობს, გზა რა დაუ-  
ჯდება; ყიდულობს, — ანგარიშობს; სვამს, ჭამს, — ან-  
გარიშობს. ჩვენში გაძღომა მუცლით იზომება, აქ კი  
— დანახარჯით. ევროპელმა დღეს ჩვეულებრივ ჭამა,  
— ეყო, არ ეყო, გაძღა, არ გაძღა, — ეს სულ ერთია:  
უნდა იკმაროს. ქართველი დღეს „მაგრათ გაძღება“  
და ხვალინდელ დღეს აღარ უყურებს, თუნდა მშიე-  
რიც იქნეს. აქ კი ამ ჰკუთს არ მიღვევენ. ევროპელს  
უნდა დღესაც გაძღეს და ხვალაც, მიტომ ზომიერათ,  
გამოან კარიშებულათ. როცა მას ცოტა ჩვეულებრივ-  
ზე გადაჭარბებულათ სმა ჭამა უნდა, „ლხინი“ უნდა,  
ის ამისთვის დიდხნით წინეთ ინახავს ფულს, განსა-  
კუთრებით ამ მიზნისთვის „განზე“ გადადებს, ასე რომ  
„ლხინი“ მის ჩვეულებრივ ცხოვრებას არ არყვეს,  
არ შლის.

ფ. პატრიშვილი.

(შემდეგი იქნება)

რედაქტორს გამომცემელი ან. თ. წერეთლისა.